პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 ოქტომბერი
შაბათი
1971
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 245 (15155)

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია მოწვეულ იქნას ქალაქ მოსკოვში 1971 წლის 24 ნოემბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

1971 წლის 22 ოქტომბერი.

# ოქტომბრის შესახვედრად

საბჭოთა კავშირის მშრომელნო! იბრძოლეთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის! განამტკიცეთ დისციპლინა და ორგანიზებულობა! წმიდად დაიცავით და ამრავლეთ საზოგადოებრივი საკუთრება!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
საოქტომბრო მოწოდებებიდან

## ჯანმრთელობის ფაბრიკა

**თბილისი.** (საქ. კორ.). ოქტომბრის დიდი დღესასწაულის წინ — 22 ოქტომბერს საექსპლოატაციოდ გადაეცა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ახალი ფარმაცევტული ფაბრიკა „ჯანმრთელობა“ (დირექტორი კ. ლოსაბერიძე). საწარმოს აქვს გალენური პრეპარატების, სატაბლეტო, საამპულო, მშრალი და სითხოვანი მედიკამენტების საფასოო, ბამბის საფასოო, ქუყათს, მექანიკური, სააფთიაქო ავეჯისა და სამედიცინო ჭაჭბადის საამქროები. აქ დამზადდება სხვადასხვა მედიკამენტები და მოხდება მათივე დაფასოება. ფაბრიკა წლიურად გამოუშვებს 532 ტონა სითხოვან მედიკამენტებს, 60 ტონა საცხსა და პასტას, 30 ტონა ტაბლეტს, 20 ტონა დრაჟირებულ პრეპარატებს, 20 მილიონ ამპულას.

სახელმწიფო მიმღებმა კომისიამ დაამტკიცა და საწარმოს ნება დართო გამოუშვას სტრეპტოციდის ტაბლეტები, იოდის ნაყენი, თვალის ვაზელინი, ევკალიპტის ნაყენი, ქაფურის სპირტი, კატაბალახას ნაყენი, გლიცერინი, სამედიცინო სოდა, კალიუმის პერმანგანატი და ინგლისური მარილი.

ფაბრიკა დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს სამედიცინო პრეპარატებით შეუფერხებელ მომარაგებაში.

## ახალი შენადნობი

**ზესტაფონი.** (საქ. კორ.). გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის კოლექტივების თანამშრომლობით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პირველი საამქროს საღნობ ღუმელზე მიიღეს ახალი შენადნობი — მცირეფოსფორიანი ფერომარგანეცი, რომელიც ჩვეულებრივ შენადნობთან შედარებით შვიდჯერ ნაკლებ ფოსფორს შეიცავს. ეს კი ლითონის დიდი ღირსებაა.

ახალი მარკის შენადნობის მიღება მეტალურგთა დიდი წარმატებაა, რომელსაც ისინი საჩუქრად უძღვნიან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოახლოებულ დღესასწაულს.

## ავტომშენებელთა ნობათი

**ქუთაისი.** (საქ. კორ.). საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვა ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც ყველა მაჩვენებლით გადააჭარბა ცხრა თვის დავალებას.

ავტომშენებლებმა განვლილ პერიოდში 3 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვეს და 2 მილიონ 788 ათასი მანეთით მეტი ნაწარმის რეალიზაცია მოახდინეს, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. დავალების გადამეტებით გამოშვებულია ასობით ავტოსაწევარი და ნახევრადმისაბმელი, 889 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები. გადაჭარბებით შესრულდა კოოპერირებული მიწოდებების, კომპლექტაციისა და ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებები.

თბილისი. 1971 წლის 22 ოქტომბერი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა ჯგუფთან და ყოფილ ქართველ პარტიზანებთან ერთად.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანებთან შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**იტალიის** წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანთა ჯგუფი, რომელიც თბილისში ჩამოვიდა, 22 ოქტომბერს ეწვია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ სახელოვანი იტალიელი პატრიოტები, ფორე მოსულიშვილის თანამებრძოლნი, იტალიის მამაცი პარტიზანები, რომლებმაც გმირობა გამოიჩინეს მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტებთან ბრძოლებში. აქ იყვნენ იტალიელ პარტიზანთა ჯგუფის ხელმძღვანელი, იტალიის პარლამენტის დეპუტატი, გარიბალდის ბრიგადის ვალსეზიის შენაერთის ყოფილი მეთაური, გარიბალდის დივიზიის ძმების ვაროვეის სახელობის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის მეთაური, ქალაქ კასტელეტოს მერი ტიჩინო ბრუნო გალეტი, იტალიის გათავისუფლების კორპუსის მებრძოლი, ავტორი წიგნისა „საბჭოთა პარტიზანები იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში“ მაურო გალენი, განთავისუფლების ნოვარის ეროვნული კომიტეტის წევრი პროფესორი პიეტრო ფიკარაცა, „ხალხის“ ბრიგადის მებრძოლი, „მხედრული მამაცობისათვის“ ვერცხლის მედლის კავალერი ფაუსტო [illegible] პიაცა, ეროვნული განთავისუფლების ვერბანის კორპუსის წევრი, ვერბანის მუნიციპალიტეტის მრჩეველი იდმინო ზაბრი, ერთ-ერთი პარტიზანული დივიზიის მეთაური ბრუპა რაიმონდო აროსიო, იტალიის კომპარტიის ნოვარის ფედერაციის წევრი, გაზეთ „უნიტას“ კორესპონდენტი ეციო რანდელინი, იტალიის სოციალისტური პარტიის ნოვარის კომიტეტის წევრი, მასწავლებელი მასარა ენრიკო, ნოვარის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის წევრი დოქტორი ალბერტო იაკობეტი, წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორიის სექციის მდივანი ჯულიო მაჯია.

მათთან ერთად დარბაზში ადგილებს იკავებენ საბჭოთა კავშირის გმირი, კოვპაკელი პარტიზანი დ. ი. ბაქრაძე, იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე, ვალტერ ფონტანეს სახელობის 42-ე დივიზიის ქვეგანაყოფის ყოფილი კომისარი შ. ა. მუხაშვილი, რომელიც დაჯილდოებულია „გარიბალდიელის ოქროს ვარსკვლავით“. ესენი არიან ქართველ პარტიზანთა იმ მრავალრიცხოვანი რაზმის წარმომადგენლები, რომლებიც მამაცურად ებრძოდნენ გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებს მტრის ზურგში — საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებული რაიონების ტერიტორიაზე და შორს ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ.

დარბაზში შემოდიან ვ. პ. მჟავანაძე, ა. ნ. ჩურკინი, შ. ი. ჯანჯღავაძე, ნ. შ. ცხაკაია, შ. დ. კიკნაძე, რ. ვ. მეტრეველი, ჯ. ი. პატიაშვილი. აქვე არიან საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. ვ. მჭედლიშვილი, საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი დ. ლ. ბელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

რესპუბლიკის კომუნისტების, კომკავშირელების, ყველა მშრომელის სახელით სტუმრებს გულთბილად და გულითადად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე.

ძალიან გვიხარია, თქვა ვ. პ. მჟავანაძემ, რომ ჩამობრძანდით საბჭოთა კავშირში, იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილის ფორე მოსულიშვილის სამშობლოში. თქვენს ჯგუფში არიან იტალიის კომუნისტური, სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები. მეორე მსოფლიო ომის მძიმე წლებში თქვენ გაერთიანებდათ ბრძოლა საერთო მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ. ახლა თქვენ საერთო ღონისძიებებით იბრძვით მშვიდობისა და პროგრესისათვის. ყველა ქვეყნის ხალხები, ხაზგასმით აღნიშნა ვ. პ. მჟავანაძემ, მოწოდებული არიან გააერთიანონ ძალები დედამიწაზე ადამიანთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის. დაუცხრომლად უნდა ვამტკიცებდეთ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ფრონტს და ვამრავლებდეთ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის მებრძოლთა ძალებს.

ჩვენ ვამაყობთ, თქვა შემდეგ ვ. პ. მჟავანაძემ, რომ საბჭოთა მოქალაქემ, ჩვენმა თანამემამულემ ფორე მოსულიშვილმა, რომელიც თქვენს რიგებში იბრძოდა, გვიჩვენა მამაცობისა და გმირობის მაგალითი. მადლობას გიძღვნით ფორე მოსულიშვილის საბრძოლო დამსახურების მაღალი შეფასებისათვის. მადლობას გიძღვნით თქვენ, და თქვენი სახით ყველას, ვინც იზრუნა ფორე მოსულიშვილის ხსოვნის უკვდავყოფისა და მისთვის იტალიის ეროვნული გმირის საპატიო წოდების მინიჭებისათვის.

ამასთან ერთად, თქვა ვ. პ. მჟავანაძემ, მადლობას ვუძღვნით იტალიის მთავრობას, რომელმაც მოიწონა თქვენი წინადადება, იტალიელ პატრიოტთა წინადადება, იტალიის კომუნისტური პარტიის შუამდგომლობა და სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვა ფორე მოსულიშვილი თქვენი ქვეყნის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი — ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

ვ. პ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხმა გადაიტანა გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ ომის ძირითადი სიმძიმე. დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში მთელი ძალით გამოვლინდა საბჭოთა ხალხის გოლიათური ძლიერება, სოციალისტური წყობილების უძლეველი სიცოცხლისუნარიანობა და უპირატესობანი. საბჭოთა ადამიანების გულში ჯერაც არ განელებულა უდიდესი დანაკლისით გამოწვეული ტკივილი, ჯერაც ცოცხლად გვახსოვს გადატანილი სიძნელეები, მაგრამ ამასთან ვამაყობთ გამარჯვებებით, რომლებიც წმიდათა წმიდა ბრძოლებში მოვიპოვეთ.

ჩვენი კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, რომლებსაც სურთ მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, გახუხრელად ახორციელებენ ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა კავშირის საგარეოპოლიტიკურ კურსს, რომელიც ახლობელი და გასაგებია მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს ყველა კეთილი ნების ადამიანი.

დასასრულ ვ. პ. მჟავანაძემ თქვა: ყველგან, სადაც კი მოგიხდებათ ჩვენს რესპუბლიკაში ყოფნა, ღია გულით შეგხვდებიან, ყველგან სასურველი სტუმრები იქნებით. ჩვენ გვინდა, რომ საქართველოში ყოფნის დროს ყოველმხრივ გაიცნოთ ჩვენი ხალხის ცხოვრება, მისი აღმშენებლობითი შრომა, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები და შემდეგ, როცა შინ დაბრუნდებით, იტალიელებს უფრო სრულად უამბოთ იმ რესპუბლიკაზე, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა ფორე მოსულიშვილი, იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე სხვა ქართველი მეომრები. ჩვენი სურვილია, რომ საქართველოსა და ნოვარის პროვინციას შორის დამყარდეს მჭიდრო ურთიერთობა, მტკიცე მეგობრობა.

ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა სტუმრებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით დააჯილდოვეს.

იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანთა ჯგუფის მეთაურმა, იტალიის პარლამენტის დეპუტატმა ერალდო გასტონემ თქვა, რომ მას, ისევე როგორც მის მეგობრებს დიდად ახარებს საქართველოში ჩამოსვლა, სადაც აღიზარდა გმირი ფორე მოსულიშვილი.

ჩვენ გვინდა ვუთხრათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელებს, თქვა შემდეგ ერალდო გასტონემ, რომ ქართველმა პარტიზანებმა, რომლებიც იტალიის წინააღმდეგობის რიგებში იბრძოდნენ, გვიჩვენეს დიდი მამაცობისა და ვაჟკაცობის მაგალითი, დიდი წვლილი შეიტანეს იტალიელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ფორე მოსულიშვილის დაჯილდოება ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ და მისთვის იტალიის ეროვნული გმირის საპატიო წოდების მინიჭება იტალიის მიწა-წყალზე ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ქართველი პარტიზანის საბრძოლო დამსახურების აღიარება იყო. სისხლმა, რომელიც საბჭოთა მეომრებმა ჩვენს მიწაზე დაღვარეს, შეადუღაბა ჩვენი მეგობრობა საბჭოთა ადამიანებთან.

ერალდო გასტონემ თქვა, რომ იტალიელი კომუნისტები, იტალიის მშრომელები დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირის წვლილს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებაში, მიესალმებიან მის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანთა ჯგუფის კომუნისტთა სახელით ერალდო გასტონემ ვ. პ. მჟავანაძეს მიართვა ტოლიატის სიტყვებისა და სტატიების კრებული „50 წელი იტალიისა და მსოფლიოს ისტორიაში“.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ბრუნო გალეტიმ ვ. პ. მჟავანაძეს გადასცა იტალიის კომუნისტური პარტიის ოქროს მედალი, რომელიც მოჭრილია კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრამ იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანებთან გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქინფორმი).

## ა. ნ. კოსიგინი მონრეალში

**მონრეალი, 22 ოქტომბერი.** (სტასის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ოტავიდან მონრეალში ჩამოვიდა.

საპატიო საბჭოთა სტუმარს ქვეყანაში მოგზაურობის დროს ახლავან მთავრობის ლიდერი სენატში პოლ მარტინი და კანადის მთავრობის წარმომადგენლები.

მონრეალის მუნიციპალიტეტმა საუზმე გამართა ა. ნ. კოსიგინის პატივსაცემად. ქალაქის მერმა **ჟან დრაპომ** და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

შემდეგ ა. ნ. კოსიგინი ეწვია „ფერნეს უიტის“ სატრანზიტო ბაზას და დაათვალიერა მონრეალის საზღვაო ნავსადგური. ა. ნ. კოსიგინი გულთბილად ესაუბრა საბჭოთა საზღვაო გემის „კიროვსკის“ მეზღვაურებს, რომლებიც ამ დროს ნავსადგურში იყვნენ.

საღამოს კვებეკის პროვინციის პრემიერ-მინისტრმა რ. ბურასამ სადილი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პატივსაცემად. რ. ბურასა საბჭოთა სტუმრებს მხურვალედ მიესალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა. მან მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირსა და კანადას შორის ახლახან დადებულ გაცვლის შეთანხმებას და დღეგრძელობა უსურვა საბჭოთა ხალხს.

საპასუხო სიტყვაში ა. ნ. კოსიგინმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობაში ყველაზე მნიშვნელოვანია ერთი ხალხის ნდობა მეორისადმი. პრემიერ-მინისტრ პ. ე. ტრიუდოსთან საუბრები და კვებეკში შეხვედრები, თქვა ა. ნ. კოსიგინმა, რწმენას გვმატებენ, რომ ორი ქვეყნისა და ხალხების ურთიერთნდობა გაიზრდება და რომ მეცნიერების, კულტურის დარგში და სხვა სფეროებში კავშირი განმტკიცდება. ა. ნ. კოსიგინმა წარმოთქვა კანადელი ხალხის სადღეგრძელო და წარმატებანი უსურვა მას.

## გამოიცა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა სტუდენტთა სრულიად საკავშირო შეკრებაზე

**სრულიად** საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“ გამოუშვა ბროშურა „ლ. ი. ბრეჟნევი. სიტყვა სტუდენტთა სრულიად საკავშირო შეკრებაზე 1971 წლის 19 ოქტომბერს“.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქინფორმი).

## მამაცური შრომისათვის

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები, საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების სიგელები გადასცეს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების ჯგუფს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ მუშაკებს, პრესის, იუსტიციის, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკებს, საფინანსო დარგის მუშაკებს, სამრეწველო საწარმოებისა და ტრანსპორტის მოწინავეებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ი. კვაჭაძემ წაიკითხა ბრძანებულებანი დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. მ. ლელაშვილმა დაჯილდოებულთ გადასცა ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“, საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდებათა მინიჭების სიგელები.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი აკადემიკოსი ე. კ. ხარაძე, საქართველოს სახმშენის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თ. კ. ქუთათელაძე, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის ზეინკალი გ. ს. გაგნიძე და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ვ. გ. ჯინჯიხაძე.

მ. მ. ლელაშვილმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ.

## მოგილოცავთ, მეგობრებო!

## დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებულებით პრესის ორგანოებში დიდი ხნის ნაყოფიერი მუშაობისათვის, გაზეთების — „საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია ადჟარიას“ დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით, „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭა რედაქციებისა და სტამბის შემდეგ მუშაკებს: მარიამ არსენის ასულ არუთინოვას, ალექსანდრა ალექსანდრეს ასულ ბოგომოლოვას, რევაზ გიორგის-ძე გორგაძეს, ია პავლეს ასულ ეგოროვას, ალი ჯემალის-ძე კონცელიძეს, კირილე ლევანის-ძე მაჭარაძეს, ნეონილა ნიკოლოზის ასულ პარშინას, ივანე იოსების-ძე პასკოს, სევერიან ბესარიონის-ძე ტულუშს, საზონ ივანეს-ძე ცეცხლაძეს.

• • •

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებულებით, პრესის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის, გაზეთების „საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია ადჟარიას“ დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ რედაქციებისა და სტამბის შემდეგი მუშაკები: ვალენტინ სიმონის-ძე ბარსეგიანი, ამირან ვარლამის-ძე ვადაჭკორია, ევგენია ვალერიანის ასული ვინოგრადოვა, რევაზ მიხეილის-ძე იმნაძე, დურსუნ მემედის-ძე კობალაძე, ტატიანა ბორისის ასული ლისოვსკაია, გიორგი მიხეილის-ძე ლორთქიფანიძე, სერგო პოლოსის-ძე პეტროსიანი, ალექსანდრე დავითის-ძე სამსონია, გრიგოლ ალექსანდრეს-ძე სიხარულიძე, ქეთო გიორგის ასული ტაბატაძე, ჯიმშერ ომერის-ძე შამილაძე.

• • •

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა ამხ. ილია დავითის-ძე ართმელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, — საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში დიდი ხნისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით.

## საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ზღვაში ინციდენტების თავიდან აცილების შესახებ

**ამა** წლის 12-დან 21 ოქტომბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციების მოლაპარაკება ღია ზღვაში და საჰაერო სივრცეში ორივე მხარის ხომალდებს, გემებს, თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებს შორის მოსალოდნელი ინციდენტების თავიდან აცილების საკითხებზე. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის პირველი მოადგილე ფლოტის ადმირალი ვ. ა. კასატონოვი, ამერიკის დელეგაციას — ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მინისტრის მოადგილე ჯ. უორნერი.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა საქმიან ატმოსფეროში და განსახილველი პრობლემებისადმი კონსტრუქციული მიდგომის სულისკვეთებით. მოლაპარაკების მსვლელობაში მთელ რიგ საკითხებზე ორივე მხარეს შორის მიღწეულია თვალსაზრისთა ერთობა.

მხარეებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს განაგრძონ მოლაპარაკება ორივე მხარისათვის მოსახერხებელ დროს. (საქინფორმი).

## მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრების თათბირი

**უმაღლესი** და საშუალო სპეციალური სკოლის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სტუდენტთა სრულიად საკავშირო შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვიდან, განიხილა მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი და საშუალო სპეციალური (სახალხო) განათლების მინისტრთა თათბირმა, რომელიც მოსკოვში გაიმართა. სსრ კავშირის მინისტრის ვ. პ. ელიუტინის მოხსენებასა და თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში დასახული იყო სტუდენტთა და მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის დონის შემდგომი ამაღლების, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის ამ დღეებში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მათი მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების კონკრეტული გზები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აპარატის პასუხისმგებელი თანამშრომლები. (საქინფორმი).



# ფორე მოსულიშვილის თანამებრძოლები საქართველოში

**უკვდავი** დიდების შარავანდედით შემოსა სახელი ქართველი ერის ერთგულმა შვილმა ფორე მოსულიშვილმა ჩვენს სამშობლოსა და იტალიას ახსოვთ მისი უკვდავი გმირობა. გმირობისა და დიდი თავდადებისათვის, რაც მან წინააღმდეგობის მოძრაობის პერიოდში გამოიჩინა, ფორე იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტის შესაბამისად სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ — იტალიის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი.

ისევე როგორც რუსი მეომარი, საბჭოთა არმიის რიგითი ჯარისკაცი თევდორე პოლეტაევი, რომელიც მამაცურად იბრძოდა იტალიელ პარტიზანთა რიგებში და სიცოცხლე შესწირა იტალიის განთავისუფლებას, მოსულიშვილიც ქვეყნის ეროვნული გმირი გახდა. ჩვენი თანამემამულე მეორე საბჭოთა პატრიოტია, რომელსაც ეს საპატიო წოდება მიენიჭა.

მოსულიშვილის ნათესავებისათვის მოსკოვში ჯილდოს გადაცემის ცერემონიაზე სსრ კავშირში იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფედერიკო სენსიმ თქვა: **„როცა პატივს ვცემთ ამ გმირს და მის მშობელ დიდ ხალხს, უნდა გავიხსენოთ, რომ სიცოცხლის გაწირვით ფორე მოსულიშვილმა წვლილი შეიტანა ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში...“**

ქართველი ხალხი, ყველა საბჭოთა ადამიანი, იტალიელი მშრომელები ჯეროვნად აფასებენ მამაც მეომარს ფორე მოსულიშვილს. თბილისში, გამომცემლობა „ნაკადულში“ გამოვიდა მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი „იტალიას ახსოვს ფორე“. ქართველმა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს დოკუმენტური ფილმი „მარეშალო ფორე“. გმირის ნათელი სახე აღბეჭდილია მხატვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებებში.

ჩრდილოეთ იტალიის ნოვარის პროვინციის ბევრ ქალაქსა და სოფელში, სადაც ერთ-ერთ პარტიზანულ რაზმში იბრძოდა ფორე მოსულიშვილი, ლეგენდები შექმნეს მისი მამაცობის შესახებ.

მოსულიშვილის აღმზრდელი ქართული მიწის სათაყვანოდ ჩამოვიდა მის თანამებრძოლთა, იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა ჯგუფი.

22 ოქტომბერს დილით სასტუმრო „ივერიაში“, სადაც ძვირფასი სტუმრები ჩამოხდნენ, მხიარულება სუფევდა. თანამებრძოლების სანახავად მოვიდნენ ქართველი პარტიზანები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში იტალიის სახალხო შურისმგებელთა რაზმებში იბრძოდნენ. გულთბილი ხელის ჩამორთმევა, კოცნა-ხვევნა, მისალმებანი.

განსაკუთრებით გულთბილი იყო შეხვედრა იტალიელი პატრიოტებისა შალვა მუნჯიშვილთან, ვალტერ ფონტანას სახელობის 42-ე დივიზიის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის ყოფილ კომისართან. „სალამი, ამხანაგო სალვატორე“. „გამარჯობა, ჩვენო სალვატორე“ — გაისმოდა შეძახილები. „სალვატორე“, იტალიურად „მხსნელს“ ნიშნავს. ასე ესალმებოდნენ შალვა მუნჯიშვილს. ახლა დიდპანელიანი მშენებლობის № 15 ტრესტის დისპეტჩერს. იგი ცნობილი იყო როგორც უშიშარი მებრძოლი. ფაშისტ ოკუპანტებთან ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისათვის იგი დაჯილდოებულია „გარიბალდიელთა ოქროს ვარსკვლავით“. ქალაქ ბუსოლენოს მუნიციპალიტეტმა, სადაც შალვა მუნჯიშვილი იბრძოდა, მას საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.

მოხარული ვიყავი, როცა შევხვდი ჩემი წიგნის „საბჭოთა პარტიზანები იტალიის წინააღმდეგობაში“ ერთ-ერთ გმირს, თქვა მაურო გალენიმ, წარსულში იტალიის განთავისუფლების კორპუსის მებრძოლმა.

იტალიელი მეგობრები გულთბილად, გულითადად, დიდი პატივისცემით იგონიებენ ფორე მოსულიშვილს. ძმები ვარალეების სახელობის გარიბალდიელთა დივიზიის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი ნაწილის მეთაური, ქალაქ კასტელეტოს მერი ტიჩინო, რომელიც პირადად იცნობდა მოსულიშვილს. სიყვარულით ამბობს: ფორე უშიშარი ვაჟკაცი იყო. უსაზღვროდ უყვარდა ბავშვები. ამხანაგების წრეში ხშირად უთქვამს: **„ფაშისტები ცოცხალს ვერასდროს ვერ შემიპყრობენ“**. მტერზე საიერიშოდ რომ მიდიოდა, ყოველთვის გაიძახოდა: „საბჭოთა სამშობლოსათვის! იტალიის თავისუფლებისათვის!“.

სტუმრები უჩვენებენ ფოტოსურათებს, რომლებზეც აღბეჭდილია ფორე მოსულიშვილის საფლავი და ძეგლი ქალაქ არონოშინოვარის პროვინციაში. აქ მოსულიშვილის ნეშტი ახლახან გადაიტანეს პატარა ქალაქ მეინიდან, სადაც იტალიის ეროვნული გმირი თავდაპირველად იყო დაკრძალული. ასეთი გადაწყვეტილება, — თქვა ბრუნო გალეტიმ, — პარტიზანებმა მიიღეს იმ მოსაზრებით, რომ ეს სასაფლაო იტალიაში ცნობილია ისეთ ადგილად, სადაც სამარადისო ადგილი დაიმკვიდრეს საძულველ მტერთან, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში დაღუპულმა სახალხო შურისმგებლებმა.

იტალიის წინააღმდეგობის ვეტერანთა ჯგუფის მეთაურმა, პარლამენტის დეპუტატმა ერალდო გასტონემ აღნიშნა, რომ იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობდა სხვადასხვა ეროვნების ხუთი ათასამდე საბჭოთა მეომარი — რუსები, უკრაინელები, ქართველები, ბელორუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, უზბეკები... მთელი პროგრესული კაცობრიობა თაყვანს სცემს საბჭოთა ხალხის მამაცი შვილების ნათელ ხსოვნას.

22 ოქტომბერს დღისით სტუმრები ეცნობოდნენ თბილისს.

(საქდესი).

• • •

**სურათზე: ფორე მოსულიშვილის საფლავი ნოვარის პროვინციის ქალაქ არონოში. მემორიალურ დაფაზე იტალიის ეროვნული გმირის გამოსახულების გვერდით ოქროს ასოებით ამოკვეთილია სიტყვები: „ფორე მოსულიშვილი. 1916 წელს დაბადებული. დაიღუპა 3 12. 1944 წ. უმაღლესი ჯილდო ოქროს მედალი მხედრული მამაცობისათვის. სსრკ“.**

---

# მუშური სუნთქვა

## ანგარიშგება-არჩევნები პროფკავშირულ ორგანიზაციებში

**საქართველოს პროფკავშირულ ორგანიზაციებში ამჟამად დიდი საქმიანი სჯა-ბაასია — მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები და კონფერენციები. პროფკავშირთა წევრები მსჯელობენ, ანალიზს უკეთებენ თავიანთი არჩევითი ორგანოების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას, განსაზღვრავენ დადებითს გამოცდილებას, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, სახავენ მომავალი მუშაობის კონკრეტულ ღონისძიებებს და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში ირჩევენ მოწინავე ადამიანებს, საუკეთესო აქტივისტებს.**

**ქვემოთ ვაქვეყნებთ ერთ-ერთი პროფკავშირული კონფერენციის ანგარიშს.**

**დარბაზში** ნელი ნაბიჯით შემოდიან მუშები, მოსამსახურეები. ჯერ კიდევ ადრეა, ზოგი სტენდსა და დიაგრამებს ათვალიერებს, ზოგი პირად საქმეზე საუბრობს. ახალგაზრდები სპორტულ ახალ ამბებს უზიარებენ ერთმანეთს, ენერგიულად კამათობენ, დავობენ. ჩემს გვერდით კი კადრის მუშები ჩამომსხდარან, ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით ლაპარაკობენ.

მესმის მათი საუბარი, ისინი ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნებულ დებულებაზე „პროფესიული კავშირის. სათაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებების შესახებ“ მსჯელობენ. იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცებულ დოკუმენტს, რომელიც კანონმდებლობით განამტკიცებს პროფკავშირული კომიტეტების უფლებებს, ფიქრობენ უკეთ გამოიყენონ მინიჭებული უფლებამოსილება საწარმოო გეგმების შესასრულებლად, მასების დასარაზმავად, სოციალისტური შეჯიბრების ახლებურად გასაშლელად, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ერთი სიტყვით, აქ, საწარმოს ამ კლუბში, ნათლად იგრძნობა მუშური, ჯანსაღი სუნთქვა.

ვზივარ და ვფიქრობ რა არის ახლა მთავარი თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის ცხოვრებაში, რომელიც უშვებს ძვირფას პროდუქციას — უნივერსალურ სახეხ, ზემაღალი სიზუსტისა და ეგრეთწოდებულ სპეციალურ ჩარხებს. ამ საწარმოს პროდუქციის მომხმარებელია ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის და სხვა დარგების საწარმოები. აგრეთვე საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა — ბულგარეთი, რუმინეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, ვიეტნამი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და სხვ.

როგორც ჩანს, ქარხანას სერიოზული ფუნქცია აკისრია და ბევრი სოლიდური მომხმარებელი ჰყავს. ამიტომ დგას აქ საწარმოო და საყოფაცხოვრებო პრობლემები, რომელთა შორის უპირველესია გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ამან და ბევრმა სხვა საკითხმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ქარხნის პროფკავშირულ კონფერენციაზე, სადაც საანგარიშო მოხსენებით წარსდგა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ხატიაშვილი.

მომხსენებელი, კამათის მონაწილენი ლაპარაკობდნენ ყველაზე მასობრივი ორგანიზაციის, პროფკავშირის აქტივობაზე, თვითმოქმედებაზე, ინიციატივაზე, მის როლზე საწარმოო ამოცანების გადასაწყვეტად ადამიანთა მობილიზაციაში, სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საქმეში.

ქარხანაში დიდი ძალაა ორი საამქროს პროფკავშირული კომიტეტი და 17 პროფკავშირული ჯგუფი. მათ თავიანთ უბნებზე გეგმების შესრულებისათვის დარაზმეს მუშები. ბევრი მათგანი ახლა საწარმოს ავანგარდში დგას. ქარხანა ამაყობს თავისი მოწინავე მუშებით, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით, რომლებიც სანიმუშო შრომის მაგალითებს იძლევიან. „კომუნისტური შრომის მოძრაობაში ჩაბმულია ქარხნის 381 მუშა, „კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი მინიჭებული აქვს სამ ბრიგადას. საამწყობო და თერმულ უბნებს, ტექნიკურ და გახალების განყოფილებებს. ქარხანას ჰყავს „საუკეთესონი თავიანთ პროფესიაში“. მათი დიდი წვლილია იმაში, რომ ქარხნის კოლექტივმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის 9 თვის დავალება წარმატებით შეასრულა.

ამაში კი დიდ როლს ასრულებს სოციალისტური შეჯიბრება, მისი საჯაროობა. აქ დიდი ინტერესით იქნა განხილული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რის შედეგადაც მოხდა სოციალისტურ ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა ხელახალი შემოწმება.

საწარმოში ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. მართალია, ამ უკანასკნელ ხანს აქ გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, მაგრამ ჯერ კიდევ არის წუნდებული დეტალების დამზადების შემთხვევები. კონფერენციაზე ითქვა, რომ პროდუქციის მეტი ნაწილის დამზადება თვის მეორე და მესამე დეკადაზე მოდის. ეს კი იწვევს რიტმულობის დარღვევას. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კონტაქტის კოორდინაციის საკითხებს საამქროებს შორის.

ზოგჯერ სხვა შეფერხებებიც ჰქონდა საწარმოს. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ უბნის ხელმძღვანელები ამ ბოლო დრომდე მუშებს არ აცნობდნენ ხუთდღიურ დავალებებს. ყოველ დილით მათ მხოლოდ ის დავალება ეძლეოდათ, რაც იმ დღის უნდა შესრულებულიყო. მაგრამ აი გაჩნდა თბილისის სართავ-საქსოვი კომბინატის მრთველის მზია არათანაშვილის ინიციატივა — „ხუთდღიური დავალება — 4 დღეში“, იგი აიტაცა საქარხნო კომიტეტმა.

სათავეში ჩაუდგა მის დანერგვას და ამ მოძრაობაში ჩაება მრავალი მუშა. ამის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ერთი რამ მაინც მოუგვარებელია — მუშებს ხელზე არ ურიგდებათ პირადი ანგარიშების წიგნაკები, არ იციან, როდის რა გამოიმუშავეს, რაც იწვევს გაუთავებელ დავასა და უკმაყოფილებას. ამის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებდნენ უბნის ხელმძღვანელებს, რომლებიც თავის დროზე არ აწვდიან სააღრიცხვო ლარგის მუშაკებს შესრულებულ სამუშაოთა განრიგებს. გაკრიტიკებულ იქნა შრომის, ხელფასისა და საჩივრების მუდმივმოქმედი კომისია, რომელმაც თავი ვერ მოაბა ამ საქმეს.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა ვრცლად ილაპარაკეს სხვა მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობაზეც. ზოგიერთი მათგანი — ბავშვთა შორის მუშაობის, კულტმასობრივი და სხვა კომისიები დამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ. წელს მუშა-მოსამსახურეებს მიეცათ სანატორიუმების, პანსიონატების და დასასვენებელი სახლების 32 საგზური. 51 ბავშვმა — ქარხნის მუშათა შვილებმა — დაისვენა პიონერთა ბანაკებში, მუშებს მიეცათ დახმარება, მოეწყო საახალწლო ნაძვისხის ზეიმი, პირველკლასელებს დაურიგდათ სასწავლო ნივთები და სხვ. მაგრამ ყველა კომისიამ როდი იმუშავა დამაკმაყოფილებლად. მთელი რიგი ნაკლოვანებანი აღინიშნა მუშათა სასადილოს მუშაობაში — კერძები უხარისხოა. სასადილო არ მარაგდება ბოსტნეულით, არ არის საკმარისი ჭურჭელიო. ნაკლია ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაშიც.

როგორც გაირკვა, ადმინისტრაცია და საქარხნო კომიტეტი ყურადღებას აქცევენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებენ ბინებით, მაგრამ, როგორც ჩანს, გაწეული მუშაობა საკმარისი არ არის.

კრების მონაწილენი მთელი პრინციპულობით სვამდნენ საწარმოო და შრომის დისციპლინის გაუმჯობესების საკითხებს. შრომის დისციპლინა მოწოდების სიმაღლეზე რომ ვერა დგას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სამუშაოს ხანგრძლივი გაცდენისათვის ქარხნიდან განთავისუფლებულია 9 მუშა, წელს სამუშაოზე მიღებულია 109 მუშა. სამუშაო კი დატოვა 103-მა. წასულთა მეტი ნაწილი დამწყები მუშებია.

ბევრი სამდურავი ითქვა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებზე. გაკრიტიკებულ იქნა აგრეთვე ამხანაგური სასამართლოს მუშაობა. ორატორები ლაპარაკობდნენ შრომის დაცვისა და უსაფრთხოობის საკითხებზე. რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს მუშაობაზე. მკაცრად იქნენ გაკრიტიკებული პროფკავშირის ის წევრები, რომლებიც დაგვიანებით იხდიან საწევრო ანარიცხებს.

დიდხანს გაგრძელდა სჯა-ბაასი საწარმოს ავკარგზე, ახალგაზრდები თუ ძველი მუშები ეხებოდნენ ქარხნის საჭირბოროტო საკითხებს, მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ უკეთესად მოაწყონ შრომა, სოციალისტური შეჯიბრება, დასვენება. შემოჰქონდათ წინადადებები წარმოების, შრომის, ყოფაცხოვრების საკითხებზე, პროფკავშირული მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

ე. მამალაძე.

---

# მსოფლიო დღე

## პროვოკაცია ნიუ-იორკში

**ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მუშაობა გუშინ დაირღვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის წარმომადგენლობის მიმართ ჩადენილი პროვოკაციის გამო.**

სესიის დელეგატთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ა. მალიკი, რომელმაც თქვა, რომ სროლა აუტეხეს საბჭოთა მისიის შენობას.

20 ოქტომბერს საღამოს მე-11 სართულის ბინაში, სადაც ბავშვები თამაშობდნენ, განათებულ ფანჯარას ოთხჯერ ესროლეს ოპტიკურსამიზნიანი ნახევრადავტომატური შაშხანა. როგორც საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, ამგვარი მოქმედება შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ ამერიკის ხელისუფალნი უკვე დიდი ხანია არ ახორციელებენ ჯეროვან ეფექტიან ღონისძიებებს და არ აბრკოლებენ მტრულ კამპანიას სსრ კავშირის მიმართ, რომელსაც სისტემატურად ეწევიან ამერიკის შეერთებულ შტატებში სიონისტთა და სხვა წრეები.

საბჭოთა წარმომადგენლობამ ამერიკის შეერთებული შტატების მისიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაუგზავნა ნოტა, რომელშიც უაღრესად მკაცრი პროტესტი განაცხადა ამ ახალ პროვოკაციასთან დაკავშირებით და მოითხოვა განახორციელონ გადამჭრელი ღონისძიებანი დამნაშავეთა გამოვლინებისა და მკაცრად დასჯის მიზნით, აგრეთვე ყოველი ღონე იხმარონ ნიუ-იორკში მყოფი საბჭოთა მოქალაქეების უშიშროების უზრუნველსაყოფად.

სიონისტური კამპანიის გამო აღშფოთება გამოთქვეს და საბჭოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციების შეწყვეტა მოითხოვეს თავიანთ გამოსვლებში ასამბლეის სესიაზე ბულგარეთის, კუბის, სირიის, საუდის არაბეთისა და ბევრი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადაჭრით გმობს ამ „დანაშაულებრივ და სრულიად უპასუხისმგებლო აქტს“ სსრ კავშირის წარმომადგენლობის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჯ. ბუშმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ გადაჭრით გმობს „ექსტრემისტთა მტრულ აქციას“. ჩადენილ დანაშაულს უმაღლეს დონეზე გამოვიძიებთო, თქვა მან.

აქ გამოაცხადეს, რომ საბჭოთა მისიისათვის ცეცხლის დაშენასთან დაკავშირებით ნიუ-იორკის პოლიციამ დააპატიმრა „ებრაელთა დაცვის ლიგის“ 18 წლის წევრი.

**ვაშინგტონი, 22 ოქტომბერი. (საქდესი).** გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის წარმომადგენლობის წინააღმდეგ პროვოკაციის გამო სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჩ. ბრეიმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გმობს ძალადობის ამ უაზრო და ლაჩრულ აქტს“. მან თქვა, რომ საბჭოთა საელჩოს ოფიციალურად გამოუცხადეს სინანული და აღუთქვეს, რომ „ყოველ ღონეს იხმარენ დამნაშავეთა დასაკავებლად“.

**ლონდონი**

## უღირსი მიზნები

22 ოქტომბერი. (საქდესი). ინგლისის მთავრობამ აიღო აფრიკის სამხრეთ ნაწილში გაბატონებულ რასისტულ რეჟიმებთან კონტაქტების გაფართოების კურსი და არათუ არ ცდილობს დამალოს ეს კონტაქტები, არამედ საქვეყნოდაც კი აცხადებს ამას.

ამ კონტაქტების მკაფიო მაგალითია ინგლისის ფლოტისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდების ერთობლივი სამხედრო-საზღვაო მანევრები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს სამხრეთ ატლანტიკაში.

იოჰანესბურგის გაზეთ „სტარის“ ცნობის თანახმად, მანევრებში მონაწილე ერთ-ერთი ბრიტანული ხომალდის — ფრეგატ „ჯუნოს“ გემბანზე მიიწვიეს კორესპონდენტები, რაც, გაზეთის აზრით, „ოფიციალურ ხასიათს“ ანიჭებს ამ მანევრებს. ადასტურებს რა ამ აზრს, გაზეთს მოჰყავს სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის ოფიცრის ჰოგის სიტყვები, რომელიც ხელმძღვანელობს მანევრებს. ამ ოფიცერმა განაცხადა, რომ „ასეთი ერთობლივი მანევრები უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე ყოველწლიურად ეწყობოდა, მაგრამ მათ შესახებ ადრე ხმა არავის არ დაუძრავს“.

„დიდი ხნის წინ კი არა, წერს „სტარი“, — შარშანაც კი ასეთი აღიარება პირდაპირ წარმოუდგენელი იქნებოდა, ახლა კი მთელ მსოფლიოს სთავაზობენ გაეცნონ ტექნიკას, რომლის მეოხებითაც სამხრეთ აფრიკისა და ინგლისის შეიარაღებული ძალები აპირებენ დაიცვან საზღვაო გზა კეთილი იმედის კონცხის ირგვლივ“.

ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაცია ბი-ბი-სი, რომელიც რეკლამას უწევს სამხრეთ ატლანტიკაში მიმდინარე სამხედრო-საზღვაო მანევრებს, შეეცადა წარმოედგინა იგი როგორც „კომუნისტური საფრთხისაგან აფრიკის დაცვისათვის“ გამიზნული ღონისძიება. მაგრამ ეს პროპაგანდისტული მონაჩმახი ვერ შენიღბავს აფრიკის კონტინენტზე ბრიტანეთის პოლიტიკის უღირს მიზნებს.

## პაბლო ნერუდა — ნობელის პრემიის ლაურეატი

სტოკჰოლმი. 22 ოქტომბერი. (საქდესი). 1971 წლის ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში მიენიჭა ცნობილ ჩილელ პოეტს, ლათინური ამერიკის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს პაბლო ნერუდას. ეს გადაწყვეტილება მიიღო შვეციის მეცნიერებათა აკადემიამ.

## მოლაპარაკება პეკინში

**პეკინი. 22 ოქტომბერი. (საქდესი).** როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ჯოუ ენ-ლაის, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ე ძიან-ინს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ძი პენ-ფეის მოლაპარაკება ჰქონდათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურ თანაშემწესთან ჰ. კისინჯერთან. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ჯოუ ენ-ლაიმ დარბაზობა გამართა ჰ. კისინჯერის პატივსაცემად.

**ჰანოი**

## „ვიეტნამიზაციის“ სტრატეგიის კრახი

22 ოქტომბერი. (საქდესი). გაზეთებმა „ნიან ზანმა“ და „კუან დოი ნიან ზანმა“ გამოაქვეყნეს სტატია, რომელიც ამხილებს ვიეტნამის მიმართ ამერიკის ნეოკოლონიალური პოლიტიკის არსს და გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების ბარბაროსულ ომს, ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიულ პოლიტიკასა და მანევრებს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა თანაშემწემ კისინჯერმა, აღნიშნულია სტატიაში, განაცხადა, რომ შეერთებული შტატები უწინდებურად მთავარ ყურადღებას უთმობენ სამხრეთ ვიეტნამში მძლავრი მარიონეტული ხელისუფლების შექმნას როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

სტატიაში განხილულია ინდოჩინეთის ბრძოლის ველებზე საომარი მოქმედების მსვლელობა, აღნიშნულია პატრიოტთა გმირობისა და ვაჟკაცობის ამბები და მოყვანილია აგრესორთა და მათ დამქაშთა სასტიკი დამარცხებათა ფაქტები.

ომის „ვიეტნამიზაციის“ ამერიკული პოლიტიკის მარცხის ძირითადი მიზეზი, ნათქვამია სტატიაში, ის არის, რომ შეერთებული შტატები და მისი მარიონეტები დამარცხდნენ 1970-1971 წლების მშრალი სეზონის პერიოდში. მარტო № 9 გზის რაიონში სამხრეთ ლაოსში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მათ დამქაშებს ბრძოლის ველზე დაუხოცეს და დაუჭრეს 22400 ჯარისკაცი და ოფიცერი, ათასზე მეტი ამერიკელი და საიგონელი ჯარისკაცი ტყვედ ჩავარდა.

მოწინააღმდეგის დამარცხებამ ბრძოლის ველზე, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, აღაფრთოვანეს სამხრეთ ვიეტნამის ქალაქების მოსახლეობის სხვადასხვა ფენები, რათა გააძლიერებინათ ბრძოლა თავიანთი საარსებო უფლებებისათვის, დემოკრატიისათვის, მშვიდობისათვის, ამ ქვეყნიდან ამერიკელთა ჯარების გაყვანისათვის, ნგუენ ვან თხიეუს რეჟიმის დამხობისათვის.

ამერიკელი აგრესორი და მისი დამქაშები წინათ არასოდეს არ წაწყდომიან ისეთ მუდმივ სიძნელეებს, როგორც ახლა. მაშინ, როცა კონტრრევოლუციური ძალები სულ უფრო და უფრო სუსტდებიან, ჩვენი რევოლუციური ძალები მტკიცეა როგორც არასოდეს.

სტატიის დასასრულს მადლობას უხდიან მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს, მსოფლიოს ხალხებს ვიეტნამელი ხალხის მხარდაჭერისა და უდიდესი დახმარებისათვის.

**აღმოსავლეთპაკისტანელ** ლტოლვილთა ნაკადი ინდოეთში არ წყდება. ოფიციალური მონაცემებით მათი რიცხვი უკვე 10 მილიონს აღწევს. ყოველდღიურად საზღვარზე 40 ათასამდე ლტოლვილი გადადის, რაც აიხსნება დასავლეთ პაკისტანის არმიის განუწყვეტელი რეპრესიებით აღმოსავლეთ პაკისტანის მოსახლეობის მიმართ. ინდოეთის მთავრობა ლტოლვილთა ხვედრის შესამსუბუქებლად აშენებს მიმღებ ცენტრებსა და ბანაკებს, აძლევს მათ თავშესაფარს, საკვებსა და ტანისამოსს. მაგრამ ლტოლვილთა მდგომარეობა კვლავ მძიმეა. ბანაკებში დროდადრო ჩნდება ეპიდემიები. განსაკუთრებით სავალალოა მოხუცებისა და ბავშვების ხვედრი. ორ მილიონამდე ადამიანს დღესაც არა აქვს ჭერი, სამუშაო.

**სურათზე:** ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე. ისინი სამშობლოს ტოვებენ.

საქდესის ფოტოქრონიკა.

**ბონი**

## სასამართლო „საქმე შტრაუსისა“

**22 ოქტომბერი. (საქდესი).** დასავლეთ გერმანიის პარტია — გერმანელთა მშვიდობის კავშირი აპირებს აღძრას სასამართლო ძიება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი თავდაცვის მინისტრის შტრაუსის საქმის გამო. ამას იუწყება გერმანელთა მშვიდობის კავშირის პრესის უწყება.

პარტიის ხელმძღვანელობა მას ბრალად სდებს „სტარფაიტერის“ ტიპის ამერიკული თვითმფრინავების შესყიდვასთან დაკავშირებულ მაქინაციებს.

ამას წინათ ფედერალურმა საანგარიშო პალატამ გამოაქვეყნა ბუნდესვერის შეიარაღებაში არსებული ამ ტიპის თვითმფრინავების კატასტროფათა მიზეზების ხანგრძლივი გამოძიების შედეგები. მათი შესყიდვის მომენტიდან სასწავლო და სხვა მიზნით მოწყობილი ფრენის დროს დაიმსხვრა 141 „სტარფაიტერი“ და დაიღუპა 67 მფრინავი.

საანგარიშო პალატის მასალებში აღნიშნულია, რომ თვითმფრინავებს შესაიარაღებლად იძენდნენ ყოველგვარი სასინჯი გამოცდების გარეშე.

გარდა ამისა. შტრაუსის ბრძანებით ოკეანის გაღმა შეიძინეს თვითმფრინავების ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც აბსოლუტურად გამოუსადეგარია ადგილობრივ პირობებში.

შტრაუსი პირველად როდი გამოდის პოლიტიკური სკანდალის მთავარი მოქმედი პირის როლში. მას უკვე მრავალი ფინანსური და პოლიტიკური აფიორა ეკუთვნის, რომელთაგან ერთისათვის თავის დროზე იძულებული გახდა გამოთხოვებოდა მინისტრის პოსტს.

## ათასნაირი ამბავი

### ყვავილები და გამონაბოლქვი გაზები

**ვარშავა, 22 ოქტომბერი. (საქდესი).** 48 საათს იმუშავა დიზელის ძრავამ პატარა ორანჟერეაში, სადაც მიხაკები და ქრიზანთემები ყვაოდნენ, მაგრამ არცერთი ყვავილი არ დაღუპულა, არ „მოწამლულა“ გამონაბოლქვი გაზებით.

ასეთია ექსპერიმენტის შედეგი, რომელიც ვარშავის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალისტებმა მოაწყვეს მათ მიერვე შექმნილი კატალიზატორებით. ეს კატალიზატორები წმინდენ გაზებს მავნე კომპონენტებისაგან შიდაწვის ძრავაში. ახალი კატალიზატორის და სრული წვის სპეციალური ფორსაჟის კამერის გამოცდამ ცხადყო, რომ ახალი მეთოდით შესაძლებელია 90 პროცენტით შემცირდეს ძრავიდან წვის მავნე პროდუქტების გამოყოფა.

კატალიზატორებისა და სათბობის სრული წვის ახალი მოწყობილობების პირველი ნიმუშები გამოცდას გაივლიან ვარშავის ქარხნებში შიდაწვის ტრანსპორტის ავტოკარებზე.

### შედევრები ფოლადის სეიფებში

ჰააგა, 22 ოქტომბერი. (საქდესი). ჰოლანდიის ფრისლანდიის პროვინციის ქალაქ ლეუვარდენის ფრიზის მუზეუმის დირექციამ მძარცველთა შიშით გადაწყვიტა მუზეუმის კოლექციებიდან ამოიღოს ყველაზე ძვირფასი ექსპონატები. ცნობილი ჰოლანდიელი მხატვრის რემბრანდტის „სასკია“, ძველებური ვერცხლის ნაკეთობანი და ხელოვნების სხვა ნაწარმოებები საგამოფენო დარბაზებიდან გადატანილია უფრო უშიშარ ადგილზე — ფოლადის სეიფებში. მათ იქ შეინახავენ მანამ, სანამ მუზეუმში არ შექმნიან სიგნალიზაციის საიმედო სისტემას.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ უკანასკნელ დროს ჰოლანდიაში გაიზარდა ხელოვნების ნაწარმოებთა ქურდობა, ქვეყნის 50 ქალაქის მუზეუმებმა განახორციელეს ეროვნულ კულტურულ ღირებულებათა დაცვის მტკიცე ღონისძიებანი. ყველაზე ძვირადღირებული ექსპონატები, რომლებსაც განეკუთვნება ფერწერის ცნობილი ძველი ოსტატების ტილოები, შენახულია სეიფებში ან შესანახად ჩააბარეს სახელმწიფოს.

### ქურდების შიშით

**ნიუ-იორკი. 22 ოქტომბერი. (საქდესი).** ამერიკის უდიდესმა ავტომობილსაშენებელმა კორპორაციამ „ჯენერალ მოტორსმა“ გამოაცხადა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას მორიგ საერთაშორისო საავტომობილო გამოფენაში, რომელიც 1972 წლის გაზაფხულზე მოეწყობა ნიუ-იორკის საგამოფენო დარბაზ „კოლიზეუმში“. „ჯენერალ მოტორსის“ ხელმძღვანელნი თავიანთ გადაწყვეტილებას ხსნიან იმით, [illegible] „კოლიზეუმში“ გამოფენების დროს მკვეთრად გადიდდა... ქურდობის შემთხვევები.

მანამდე ამავე მიზეზით „კოლიზეუმში“ გამოფენაზე მონაწილეობა არ მიიღო ამერიკის ორ სხვა კომპანიამ — „კრაისლერსა“ და „ამერიკენ მოტორსს“.

---

**კაირო**

## ეგვიპტე-იუგოსლავიის კომუნიკე

22 ოქტომბერი. (საქდესი). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა სავსებით უჭერს მხარს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ღონისძიებებს იმისათვის, რომ სამართლიანად და მყარად მოწესრიგდეს ახლო აღმოსავლეთის კრიზისი უშიშროების საბჭოს 1967 წლის ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე. ეს ნათქვამია ეგვიპტე-იუგოსლავიის ერთობლივ კომუნიკეში, რომელიც გამოქვეყნდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს კაიროში ერთი დღის ვიზიტის დამთავრების შემდეგ.

ახლო აღმოსავლეთის კრიზისის სამართლიანი და მყარი მოწესრიგების მიღწევა, ხაზგასმულია კომუნიკეში, მოითხოვს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციას, ისრაელის ჯარების გაყვანას 1967 წლის ივნისის შემდეგ ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა აღდგენას.

ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ორივე ქვეყნის მჭიდრო, ძმური ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ნაყოფიერი განვითარება და განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც განავითარონ და განამტკიცონ ეს ურთიერთობა, აღნიშნულია კომუნიკეში.

•

**პარიზი**

## გმობენ ვანდალიზმს

**22 ოქტომბერი. (საქდესი).** გაერთიანებული ერების განათლებისა, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის (იუნესკოს) აღმასრულებელმა საბჭომ, რომლის სხდომა მიმდინარეობს პარიზში, განიხილა „იორდანიის მთავრობის მოხსენება ისრაელის მიერ ჰააგის კონვენციის დარღვევის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს კულტურულ ღირებულებათა დაცვას შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში“.

მიღებულ რეზოლუციაში იუნესკოს აღმასრულებელმა საბჭომ მოითხოვა „გულმოდგინედ დაიცვან ყველა ისტორიული ადგილი, შენობა, ძეგლი და სხვა კულტურული ღირებულებანი ქალაქ იერუსალიმის ძველ ნაწილში“. მან ისრაელს მოუწოდა „თავი შეიკავოს ყოველგვარი არქეოლოგიური გათხრისა თუ ამ ღირებულებათა გადაზიდვისაგან. მათი გარეგნული სახის ანდა კულტურული და ისტორიული ხასიათის ყოველგვარი შეცვლისაგან, კერძოდ, რელიგიური ქრისტიანული თუ ისლამური ისტორიული ადგილებისა“.

აღმასრულებელმა საბჭომ იუნესკოს გენერალურ დირექტორს დააკისრა მოვალეობა უზრუნველყოს იუნესკოს მეთვალყურეთა ყოფნა იერუსალიმში, რათა თვალყური ადევნონ გენერალური კონფერენციისა და ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების შესრულებას.

## მხოლოდ

● **ბონში** ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტატს-მდივანი მ. კოლი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის უწყების სტატს-მდივანთან ე. ბართან მოლაპარაკების განგრძობისათვის.

● **ჩილეს** უშიშროების ორგანოებმა დააპატიმრეს ფერნანდო კრუსატ აგირე, რომელიც შარშან მონაწილეობდა არმიის სარდლის გენერალ რენე შნეიდერის მკვლელობაში. მემარჯვენე პარტიების თვალსაჩინო მოღვაწენი ეხმარებოდნენ მკვლელს დამალვაში, რომელიც გარეულია სხვა მძიმე დანაშაულშიც.

● **მარცხით** დამთავრდა ამერიკის მეტეოროლოგიური თანამგზავრის პოლარულ ორბიტაზე გაყვანის ცდა. გაშვებიდან 90 წუთის შემდეგ თანამგზავრი და მისი მატარებელი რაკეტა „დელტა“ დაბრუნდნენ დედამიწის ატმოსფეროში და დაიმსხვრნენ ალასკის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს სპეციალისტები იკვლევენ წარუმატებელი გაშვების მიზეზებს.

● **დემოკრატმა** სენატორებმა ჯ. მაკგოვერნმა და ე. კენედიმ ამერიკის მთავრობისაგან მოითხოვეს შეცვალოს მტრული პოლიტიკა კუბის მიმართ და მოახდინოს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზის გუანტანამოს ევაკუაცია. „არა მგონია, — განაცხადა მაკგოვერნმა, — რომ ეს ბაზა რამდენადმე მაინც უწყობდეს ხელს ჩვენი ქვეყნის უშიშროებას“. ჩვენ უნდა შევცვალოთ მოძველებული და არარეალისტური პოლიტიკა კუბის მიმართ, — განაცხადა თავის მხრივ კენედიმ.

● **ამერიკის** სამხედრო თვითმფრინავები ეწევიან ნარკოტიკების კონტრაბანდას. ორკილოგრამ-ნახევარი ჰაშიში და მარიხუანა აღმოაჩინეს იაპონელმა მებაჟეებმა „ინტრუდერის“ ავიაგამანადგურებლის უკანა ნაწილში. ეს თვითმფრინავი დასავლეთ იაპონიის ივაკუნის საჰაერო ბაზაში ჩავიდა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავთა ჯგუფის შემადგენლობაში.

● **თხუთმეტი წლის** პატიმრობა მიესაჯა თურქ მთარგმნელს სულეიმან ეგეს. მას ბრალად ედება მარქსისტული ლიტერატურის თარგმნა თურქულ ენაზე.

● **უგანდის** ხუთი რეაქტიული ავიაგამანადგურებელი თავს დაესხა ხე-ტყის სახერხ ქარხანას, რომელიც განლაგებულია ტანზანიის ტერიტორიაზე მუტუკულის დასახლებული პუნქტის მახლობლად. უგანდის სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო თვითმფრინავებმა ხე-ტყის სახერხ ქარხანას დაუშინეს ტყვიამფრქვევის ცეცხლი და რაკეტები.

● **მენხენ-გლადბახის** (გფრ) სასამართლომ დაიწყო ყოფილი დამსჯელის გ. კუბიჩის საქმის განხილვა. იგი მხეცურად ხოცავდა ვარშავის გეტოში აჯანყების მონაწილეებს. ნაცისტი დამნაშავე მეთაურობდა ასეულს. რომელიც ხვრეტდა ამბოხებულებს. თვით კუბიჩი არ უარყოფს, რომ მონაწილეობდა ხოცვა-ჟლეტაში. სასამართლო პროცესი შვიდი წელიწადი მზადდებოდა, იგი 3-4 თვეს გაგრძელდება.

## ფაქტები

## მიწისძვრა ჩილეში

**სანტიაგო. 22 ოქტომბერი. (საქდესი).** ჩილეს ცენტრალურ რაიონებში რეგისტრირებულია მიწისძვრა, რომლის ძალა რიხტერის სკალით 6 ბალს უდრიდა. მსხვერპლისა და ზარალის შესახებ ცნობები არ არის. ბიძგი გრძელდებოდა ნახევარ წუთს და გავრცელდა ზოგიერთ რაიონში, რომლებიც მიმდინარე წლის ივლისში დაზარალდნენ ძლიერი მიწისძვრის შედეგად.

ადგილობრივი სეისმოლოგიური ინსტიტუტის მონაცემებით, მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს დაახლოებით 120 კილომეტრზე სანტიაგოს ჩრდილოეთით.

# მწერალი — „კომუნისტის" მივლინებით

თუშეთის პორტრეტი

თინა დონჟაშვილი

## დაკვალება

საქართველოს მწერალთა კავშირისა და გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის დავალებით მივდივარ ახმეტის რაიონში. ახმეტაში წინათაც ყოფილვარ, მაგრამ ახლა სულ სხვა თვალით, სხვაგვარი გულისყურით ვეცნობი მას. თანდათანობით დავთმე ვენახიც, ყანაც, სათიბიც, მეაბრეშუმეების ბუდეებიც, ბაღ-ბოსტნებიც, ყველაფერი ის, რაც ახასიათებს კახეთის თითქმის ყველა კუთხეს, და მთელი ყურადღება გადავიტანე ახმეტის რაიონის მეურნეობის მთავარ სახეობაზე — მეცხოველეობაზე, კერძოდ, მეცხვარეობაზე და ცხვრის მოშენების ოდითვე განთქმულ ოსტატებზე — მომთაბარე თუშებზე.

ახმეტის რაიონის მეცხოველეობას ალვანის საჯიშე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა განაგებს. მის ანგარიშზე 100 ათასამდე სული ცხვარი, 5 ათასი ძროხა და 5 ათასამდე ღორია. მაგრამ საბჭოთა მეურნეობა ამით არ კმაყოფილდება. მეტნაკლები გადაჭარბებით მას უკვე შესრულებული აქვს მარცვლეულის, ყურძნის, აბრეშუმის, საზამთრო საძოვრების დამზადების და სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგის წლიური გეგმა.

ამრიგად, მიღებული ჭირნახულის ჩაბარება-დაბინავებისა და მიმდინარე საწარმოო სამუშაოების გარდა, მეურნეობის მთავარი საზრუნავი ამჟამად (ისე როგორც წლის ყველა სხვა დროს) ცხვარია. მეძროხეობის და მეღორეობის ფერმები (გარდა მეძროხეობის 2 ბრიგადისა) მუდამ ბარში ბინადრობენ და მათ მოვლა-პატრონობის ზამთარ-ზაფხულის ჩვეულ განრიგს არაფერი არღვევს. ცხვარი კი მთებში ჰყავთ, ზაფხულის იალაღებზე.

გადაწყდა: იმ დიდსა და რთულ სამყაროს უნდა ჩავეზიარო, მთათუშეთში უნდა წავიდე. ამ სურვილს ეგებ ისიც მიძლიერებს, რომ ერთხელ ოდესღაც ყაზბეგიდან ყიზლარის საზამთრო საძოვრებამდე გავყოლივარ ცხვარს, და მაშინდელი ამაღელვებელი შთაბეჭდილება დღემდე დაუვიწყარია. მათი ხელახალი ძალით შეგრძნება მიქმნის რაღაც ზეაწეულ, რომანტიკულ განწყობას, გადაჭარბებით პოეტურს, ვიდრე საჭიროა რეალისტური ხასიათის ნარკვევის დასაწერად.

ამ განწყობას პარტიის ახმეტის რაიკომის მესამე მდივანთან, მთათუშეთში გაზრდილ შ. ბაინდურაშვილთან ხანგრძლივი და გულგანდობილი საუბარიც მიძლიერებს, და როცა ის ერთხელ კიდევ მაფრთხილებს, შეფიქრიანებული მისურვებს მშვიდობიან გზას, მე აღარ მახსოვს იმ გზაზე მოსალოდნელი სიძნელე და ხიფათი, აჩქარებით ვუერთდები ჩემს თანამგზავრებს: მეურნეობის დირექტორის მოადგილეს, მთავარ ზოოტექნიკოსს კ. კუბლაშვილს, მთავარ ვეტექიმს გ. მჭედლიშვილს და პარტბიუროს მდივანს გ. ზარიძეს. მე ჯერ არ ვიცოდი, რომ იმ საათიდან იწყებოდა ჩემი სიხარულიც, აღტაცებაც, გაამაყებაც, გაკვირვებაც და დიდი გულისტკივილიც...

## ცოტა ისტორია, ცოტა გეოგრაფია, ცოტაც რომანტიკა

ალბათ ამ განწყობილების ბრალი იყო, რომ პირველი გაკვირვება უყურადღებოდ მიმრჩა, არავის რა ვკითხე. გამიკვირდა კი: იქვე, ახმეტაში უქმად იყო ვეებერთელა, სათანადოდ გრუნტშემზადებული, ტექნიკურად აწყობილი სააეროდრომო მოედანი და მთათუშეთში, სადაც მხოლოდ ალვანის ცხვარია, სადაც განუწყვეტელი მომსახურებაა საჭირო, იქ სხვა რაიონიდან, თელავის აეროდრომიდან უნდა წახვიდე.

ამის გაფიქრებაღა მოვასწარი, როცა ვერტმფრინავმა გვერდით მოიტოვა ქვემო და ზემო ალვანიც, ახმეტაც, მისი შემოგარენიც და პილოტ ვაჟა ტოროშელიძის ხელს მორჩილად მიჰყვა კავკასიონისაკენ.

სწრაფად მივიწევთ წინ. თვალი ვერ სწყდება გამჭვირვალე კაბადონზე ამოქარგულ მწვერვალებს, გონება კი ჩქარობს აღადგინოს მეხსიერებას შერჩენილი ცნობები მთათუშეთის ისტორიიდან. აღსადგენი არც ისე ბევრია. დღეისთვის არსებული მასალა ვერ აშუქებს თუშების შორეულ წარსულს და საქართველოს მატიანეც სდუმს ამის შესახებ. უკეთ არის ცნობილი მათი გმირული წარსულის უკანასკნელი სამიოდე საუკუნის ისტორია.

ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელი საუკუნის მიწურულს, შეიარაღებული თუშ-ფშავ-ხევსურნი შეუნაცვლებლად იდგნენ საქართველოს ჩრდილო საზღვრების სადარაჯოზე, იფარვიდნენ მათთან შეხიზნულ მეფეებს და თავისი ნაამაგარით დიდ შემწეობას უწევდნენ მათ დაქცევატებულ ხაზინას. ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის, თეიმურაზ მეფისა და მეფე ერეკლეს ხელმოწერილი სიგელით თუშებს ზამთრის საძოვრებად მუდმივ მფლობელობაში მიეცათ ალვანის მინდორი, რომელიც უხსოვარ დროიდანვე თუშებს ეკუთვნოდა, მაგრამ კახეთის სხვადასხვა ხელმარჯვე მმართველის მიერ იყო მიტაცებული.

სურათზე: მარცხნიდან (პირველ რიგში) № 3 ფერმის მმართველი შ. ლაგაზიძე, სანაშენო ფერმის გამგე ნ. პეტრიაშვილი, უფროსი ვეტექიმი გ. მჭედლიშვილი. (მეორე რიგში) № 1 ფერმის მმართველი კ. ზარიძე, № 4 ფერმის მმართველი დიმიტრი მჭედლიშვილი, № 2 ფერმის მმართველი ვახტანგ კრიტიული.

საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და თვითმპყრობელობის დამყარების შემდეგ, როცა იმპერიალისტური რუსეთი კავკასიის დაპყრობას შეუდგა და ამ საქმეში ქართველი თავადებიც მიიმხრო, თუშეთის მდგომარეობა ძალზე გაჭირდა, რადგან ქართველების მონაწილეობამ იმ დამპყრობლურ ომში გააძლიერა ლეკ-ჩაჩან-ქისტთა მტრული დამოკიდებულება საქართველოსადმი. გამახსენდა ხალხურ ზეპირსიტყვაობაში ღრმად აღბეჭდილი თუშების თავგანწირული ბრძოლა შამილის ჯართან. ლეკების მიერ ლეგენდარული დიკლოსა და შენაქოს აკლება-განადგურება, თუშების მოუსყიდელ, სამართლიან ნიჭს თვით შამილის გმირობაც კი აღუბეჭდია თავის პოეზიაში.

ეს ყველაფერი გრძლად ითქვა, გონებაში კი ისე უცებ გაიკრთომა, თითქოს ვერტმფრინავს შეეჯიბრაო. ვერტმფრინავი ისე სწრაფად მიიწევს წინ, რომ ახლახან შორიდან ხილული, კაბადონზე ნაზი თარგივით ამოქარგული პეიზაჟი ზმანებასავით ქრება, ჩვენ პირველქმნილ სამყაროში ვართ — კავკასიონის ქედზე ვართ.

ქვევით, წინ, ირგვლივ, სადამდეც თვალი მისწვდება, ერთმანეთზე მილაგებული და მიყრილი ბუმბერაზი მთები და კლდეებია. ზოგი — წვერზე უდნობი თოვლის ბოხოხით ებჯინება ცას, ზოგს — თვალისმომჭრელად მოლაპლაპე ხილაბანდივით წაუკრავს შუბლზე ყინული, ზოგი — ნისლის პირბადით შებურვილა, ზოგს — მკერდს უქათქათებს მწვერვალიდან გადმომსკდარი ჩანჩქერი. ზოგი მათგანი ალპური და სუბალპური მწვანით ხასხასებს, ზოგი — სხივმიუვალი ტყით არის შემოსილი, ზოგი — გაშიშვლებული გოლიათივით დამდგარა და წმინდად გარანდული ზურგით შესდგომია ღრუბლის ნაფლეთს. სადღაც ქვევით აწეწილი ყაჭივით ილანდებიან ზვირთმორეული მდინარენი, სადღაც უფსკრულში ზვავი — ნაქარი ჩაწოლილა, სადღაც მწვერვალზე მოჩვენებასავით კრთის დამფრთხალი ჯიხვი და სადღაცა ხავერდოვანზე ამოკერილი ყვავილების ჯადოსნური გულქანდა ჰკიდია.

ირგვლივ შემოჯარულ ბუმბერაზთა შორის ვერტმფრინავი ვიწრო დერეფანს პოულობს, ისე ვიწროს, თითქოს ეს-ეს არის კიდლებს წამოედებაო, მაგრამ პილოტი ჰაერში მოზომილი სანტიმეტრობით ნაცნობ ვიწრობს უსხლტება, გიგანტური ფარდასავით გვერდებზე გაწეულ მწვერვალებს სცდება, გულდაგულ უახლოვდება ავანსცენაზე გამოსულ ახლა სხვა ბუმბერაზთა ჯარს, ისევ შედის მათ შორის ჩიტის დასაძვრენ ვიწრობში, და როგორც ტყვეობიდან დაღწეული, ყოვლისშემძლე კაცთ მაცნესავით, ზეიმური გრუხუნით უახლოვდება გოლიათთა ახალ ჯებირს...

ერთი შეხედვით უწესრიგოდ, მიჯრით მიყრილი ციკლოპების სამყარო თანდათან ხსნის თავის გეოგრაფიულ ამოცანას, და თვალწინ იშლება ბუნების კანონზომიერებით მოხაზული, რელიეფური რუკა: მთათუშეთი — აი ეს არის კავკასიონის მწვერვალებისა და კალთების „მიწა". აღმოსავლეთით იგი დაღესტანს ესაზღვრება, დასავლეთით — ვიწრო და ძნელად გასავლელი ბილიკებით ფშავ-ხევსურეთს მეზობლობს, ჩრდილოეთით — ყინვარებით და თოვლიანი წარაფებით იყოფა ქისტეთ-ჩაჩნეთიდან, და სამხრეთით კი, შედარებით მშვიდობიანი, კარგად გაკვალული ბილიკებით გადადის ბარში, კახეთში.

მთები, წარაფები და მდინარეები ქმნიან ერთიმეორეზე თვალწარმტაც ხეობებს. ბორბალოს მწვერვალიდან (3.300 მ.) მის აღმოსავლეთ კალთებით წამოსული ნაკადულები, მრავალ შენაკადებთან ერთად, ქმნიან გომეწრის ალაზანს, რომელიც გომეწრის ხეობით მიჰქუხს აღმოსავლეთისაკენ. მის პარალელურად, მისგან მაღალი ქედით გაყოფილი მიედინება პირიქითი ალაზანი, რომელიც სათავეს იღებს იმავე ბორბალოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებიდან და თებულოს ყინვარებიდან. გზად შეერთებული ნაკადულებით გამდიდრებული ეს პირიქითი ალაზანიც — პირიქითი ხეობით აღმოსავლეთისაკენ მიდის. და ბორბალოს მხოლოდ სამხრეთ კალთებზე ჩამონაჟური ნაკადულები მიედინებიან სამხრეთისაკენ, ქმნიან კიდევ ერთ ალაზანს, რომელიც ბარში, სოფელ ფშაველთან იერთებს აბანოს მთებიდან გადმოვარდნილ სტორს, და დამცხრალი, დადინჯებული მიდის კახეთის ველებისაკენ.

პირიქითის და გომეწრის ალაზანი მეტად თავნება გზებით მიაქანებენ აქაფებულ ზვირთებს და ომალოს მახლობლად, სოფელ შენაქოსთან ხვდებიან ერთმანეთს. მათი შეერთების აუზში მდებარეობს ჩაღმის ხეობა. ჩაღმიდან კი გამოდის უკვე ერთი, წყალმრავალი ალაზანი, ზარითა და ზათქით ემშვიდობება 2.300 მ. სიმაღლეზე მდგომ თუშეთის უკანასკნელ სოფელ დიკლოს, ლეკიანობის პირველ დამხვდურ დიკლოს ციხის ფანტასტიურ ნანგრევებს, სტოვებს სამშობლოს საზღვრებს და ანდის ყოისუთ მონათლული გადადის დაღესტანში.

გაღმა მთაზე ლეკების სოფელია, ხუშეთი...

მაგრამ რაც უნდა აღვსილი იყოს თვალი ბუნების მშვენიერებით, რაც უნდა გულშეჯერებული იყოს კაცი ჩვენი საუკუნის მიღწევებით, მას მაინც გააოცებს საქართველოს ამ კუთხის ისტორიული წარსულის და აწმყოს წაკითხვა, რომელიც თვალსაჩინოდ არის დაწერილი მის მთაკლდე-მიწაზე. აქა-იქ მთებზე და სალ კლდეებზე დგანან გარემოს დაუფლებული, სათოფურებით დაჩითული, მრავალსართულიანი, წვრწეტა პირამიდული ციხე-კოშკები — გარდასულ ძნელბედობისას მომხდური მტრისგან თუშების, მათი ოჯახების, საქონლის, სარჩო-საბადებლის შესაფარნი. მათ ირგვლივ პატარა და დიდი, საომარი ციხის მსგავსნი, ჩარდახ-სამზირ-სათოფურიანი სახლები შეჯგუფულან ისე მჭიდროდ, თითქოს ერთმანეთს შესდგომიანო. ეს თუშების სოფლებია. ღრმა ხევებით შემოზღუდული, ძნელად მისადგომი, ისინი ერთმანეთისაგან შორიშორ არიან, და უცხო თვალისათვის უჩინარია მათი დამაკავშირებელი აღმა-დაღმა ბილიკები.

მაგრამ ვაი რომ ვერც მაღლიდან ჭოგრიტით და ვერც მიწაზე ძებნით ვერ აღმოაჩენ იმ ბილიკებს. ისინი დიდი ხანია აბალახებულან. მიტოვებულ, უკაცრიელ სოფლებში მდუმარებენ სახურავჩამოშლილი, კედელჩამონგრეული სახლები და ციხე-კოშკები. მივიწყებული, გამანადგურებელ ჟამთა ამარა მიტოვებული ქართული მატერიალური კულტურის ძვირფასი ძეგლები ამქვეყნიური ამაოებიდან განდგომილი სულიერებივით დაყუდებულან უძირო უფსკრულის პირას...

უნდა მოერიო უმწეობის მწვავე გულისტკივილს, მეტი რა გზაა?! უნდა დაუბრუნდე პირვანდელ ფიქრს და გაოცებას: ნეტა ადამიანთა ადრინდელი მიმოქცევის რომელმა ტალღამ ააღწია ამ ზვიად მწვერვალებს? რა ხელმა აიტანა იქ პირველი ქვა პირველი ფუძის ჩასადგმელად? რა გონებამ უკარნახა თავისი ფუძის და თავისი ერის მტრისაგან დასაცავად დაედგა ეს საოცრება ციხე-კოშკები?

ნაგებობის ტექნიკით და სიდიადით ისედაც ღრმად შთამბეჭდავნი, კლდეებს გამოტეხილი შავი ფიქალით ნაგები ის სოფლები და ციხე-კოშკები გარემოს ფონზე მკვეთრად გამოიყოფიან და გენიალური ფერმწერის დაუვიწყარ, უბადლო სურათებს ქმნიან. ისინი მოწმობენ, რომ მათი შემქმნელი თუშები არასდროს არ ყოფილან სოციალური და ეროვნული ჩაგვრით, მონობისა და ბატონყმობის შხამით დაბეჩავებულნი. ისინი მეტყველებენ თუშების გმირულ სულზე, მათ ვაჟკაცობაზე, მათ კეთილშობილებაზე, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიყვარულზე. მათ თითქოს ზედ აწერიათ უსახელო მელექსის თქმული:

„თუშთ არ იციან ვითარცა,
ვინ არი მონა, ბატონი,
თავად არიან თავისი
მბრძანებელი და პატრონი..."

მთელი ეს ხელთუქმნელი და ხელთქმნილი დიდებულება ალვანის საბჭოთა მეურნეობის, ალვანელი თუშების სამფლობელოა. ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გააზრებით იგი დანაწილებულია მეცხვარეობის ოთხ ფერმას შორის. თვითეულ ფერმაში საშუალოდ 10-12 ბრიგადაა, და ბრიგადაში შემავალ ფარებს თავისი მწყემსები ჰყავს. ყველა ფერმის მმართველობის სადგომი მდინარესთან და ვერტმფრინავის დასაჯდომი მოედნის ახლოს არის.

№ 1 ფერმას გომეწრის ხეობა უკავია. სამმართველო — გომეწრის ალაზნისპირას, ნასოფლარ ჯვარბოსელშია. ფერმის მმართველი — სამამულო ომში დაღუპული მწყემსის შვილია, ზოოტექნიკოსი კარლო ზარიძე.

ფერმა № 2 პირიქით ხეობაშია. სამმართველო პირიქითი ალაზნისპირა ულამაზეს სოფელ დართლოსთანაა. ფერმის მმართველია ზოოტექნიკოსი ვახტანგ (ვახო) კრიტიული.

№ 3 ფერმას ეკუთვნის ბორბალოს მიმდებარე საიალაღო ქედების ვრცელი აუზი. სამმართველო გომეწრის ალაზნის ზედა წელთან აქვს და „ალაზნისთავი" ჰქვია. გომეწრის ფერმიდან მას 2.000 მ. სიმაღლეზე მდებარე სოფელი კოკლათა საზღვრავს. ფერმის მმართველი ვეტექიმი შოთა ლაგაზიძეა.

გეოგრაფიულად კოკლათას მოპირდაპირე მთაზე სოფელი ვერხოვანია. ეს მთა მაღალი ქედების შემადგენლობაშია, რომელიც ალაზნისთავის ტერიტორიას ჰყოფს № 4 ფერმის იალაღებისაგან. ამ ფერმის სამმართველო — ირგვლივ ფანტასტიკური ნასოფლარებით შემოფარგლულ წოვათაშია, ალაზნის დიდ შენაკად წოვათის წყლის ნაპირზე. ფერმის მმართველი ზოოტექნიკოსი დიმიტრი მჭედლიშვილია.

ოთხივე ფერმის მმართველი მეცხვარე წინაპართა შთამომავალია. ოთხივე უმაღლესი განათლებით არის. ოთხივე მატიანეს ფურცლებიდან გადმოსული გეგონება. ოთხივე — კაცური კაცია, სამაგალითო ოჯახიშვილი, დინჯად და საღად მოაზროვნე, ენამახვილი. ოთხივე თავისი საქმის ღრმად მცოდნე და მოტრფიალეა.

თვითეულ ფერმას ათასობით ცხვარი დაუდის მათთვის განკუთვნილ იალაღებზე, და ამ მოძრავ სახალხო დოვლათს ფეხდაფეხ დასდევენ, თვალის ჩინივით უფრთხილდებიან მწყემსები, უბრალო ადამიანები. „უბრალოო?" არა, მათ მიმართ ეს არ არის ზუსტი თქმა. ისინი ამ დევგმირ მთათასწორნი არიან, ამ ბუმბერაზებით არის გამოჭედილი მათი სული — ძლიერი, ამტანი, ფაქიზი, რაინდული. სხვანაირად ვერ იქნებოდა. ასეთი სული სჭირდება მოჩვენებით უძრაობაში აკვალთულ მთა-კლდეთა ერთგულების, ძმობისა და მეგობრობის მოსურნეს. მრავალი ასეული წლებით ნაცადმა და დახვეწილმა მეგობრობის ტალანტმა მეოცე საუკუნეს დაახვედრა ადამიანთა მოდგმის ეს ელიტა. ესენი არიან იმ მამა-პაპათა მემკვიდრენი, თავისი ერის დასაცავად წარბშეუხრელი რომ უხვდებოდნენ მტრისეულ პირველ ლახვარს. ამათ მამა-პაპათა სისხლსა და ხორცს აუხასხასებია ცათაბჯენილი თუშეთის ალპები. ამათ მამა-პაპათა ბარაქიან მარჯვენას უპურებია აგზიდობისას თავისი ერი. იმათი ნათქვამია:

„ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს
მამული, თავის ერია,
არ შეკრთეს, არცა შეშინდეს,
გინდ გარს ეხვიოს მტერია,
თორემ დალგმობენ სწორები,
მოძმე და თავის ერია".

და მათი ჩამომავალნი არიან ესენი, დღეს ერთ-ერთ საიმედო ბურჯად რომ შესდგომიან თავისი ერის სულიერ-მატერიალურ ძლიერებას. ესენი არიან — ძილუკარებნი, მუხლჩაუხრელნი, სტიქიის პირს ჯიქურ მდგომნი, უმწეოსთან სათუთნი, ბალღებზე ფილოსოფიურად მზრუნველნი, ჯალაბის უხმოდ და უჩინრად მოსიყვარულენი...

საოცარი გრძნობა მიხუთავს სულს. ბარიდან წამოყოლილი გული დიდდება, დიდდება, თითქოს კბილით უნდა დაიჭირო, ბუდიდან რომ არ ამოვარდეს, რომ მათი ნახვით გახარებული, მათთან დამეგობრებით გაამაყებული არ შეეხეთქოს ამ მთა-კლდეებს. და თავს ძალა უნდა დაატანო, რომ არ იყვირო:

— დღეგრძელ იყავით, ღმერთებო! გაუმარჯოს ღმერთებს!..

## ურომანტიკოდ

მთათუშეთის ადმინისტრაციული ცენტრი ჩაღმის ხეობაშია, სოფელ ომალოში. ძველ ომალოს 2.000 მ. სიმაღლეზე მიუტოვებია თავისი ციხე-სიმაგრე და ქვევით, ზეგანზე დაგორებულა. ჩვეულებრივი თუშური სოფლიდან დღეს იგი განსხვავდება სიხალვათით და ქოხებს შორის ჩამდგარი რამდენიმე ფინური სახლით. იმ სახლებში მოთავსებულია საბჭო, სამოქალაქო საჰაერო თელავის სააგენტო, საავადმყოფო და სკოლა-ინტერნატი. ომალოს ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს აგრეთვე მთელი მთათუშეთის ერთადერთი მაღაზია.

საავადმყოფოში არც ექიმია, არც ავადმყოფი. ამ მოვლენის მიზეზობრივი კავშირის დადგენა მეუხერხულა.

ინტერნატში 8 ბავშვი ირიცხება, მაგრამ ისინი არ ჩანან, მშობლებთან თუ წასულიყვნენ სტუმრად?!

— მეტი მსურველები არ არიან?

— დავინტერესდი მე.

— მსურველები კი იქნებოდნენ, აკადემიამაც შეფობა აიღო ჩვენს ინტერნატზე, მაგრამ... მთაში აღარავინა რჩება. თანაც ფრთხილობენ, ვერტმფრინავი ყოველთვის ვერ იცლის ჩვენთვის და ვაი თუ, ან მომარაგება მოგაკლდეთ ან ინვენტარიო. ვერ იმეტებენ ბალღებს...

„პო-ო..." თუშები ვერ გაიმეტებენ ბალღებს. მე უკვე ვიცი მათი საოცარი დამოკიდებულება ბავშვებისადმი, მარტო თავისი კი არა, საერთოდ, ბავშვებისადმი. ენამოჩლექილი ალერსით არ ანებივრებენ, თანატოლებივით მეგობრობენ და პატივს სცემენ, რაც პატარებში ადრიანად აღვივებს დიდ მოქალაქეობრივ გრძნობებს. და არ ვაზვიადებ: არსად არ მინახავს ისეთი ლაღი, გულღია, თავაზიანი და გულადი, მეტწილად ცისფერ და ლურჯთვალება გოგო-ბიჭები.

...დაბინდებისას ჩაღმის ხეობას მოელვარე თალი დაემხო. ისე დაბლაა ის ციური თალი, თითქოს საცაა მხრებზე დაგაწვიმს ირმის ნახტომში ბღუჯა-ბღუჯა დაყრილი უზალთუნები, ლამის მისწვდე, კუდი მოსწყვიტო დიდსა და მცირე რვილსაც, ლამის... ეჰ, არა, ჰაერმა დაგათრო ნექტარივით, გაგაბრუა და გარემო იმიტომ გეჩვენება სიზმარეულად.

მაგრამ ვისაც მობეზრდა ციური თანავარსკვლავების ამაო დევნა და შინ შევიდა, ნეტა იმას რაღა ეჩვენება? ვაითუ, დროზე არ მოიმარაგა ნავთი ან ლამპის შუშა ან სანთელი ან კვარი, რა ეშველება, მშვიდობიანად კოვზს ვერ მიიტანს პირთან, წყალსაც ვერ დალევს...

თუმცა წყალი იქ დღისითაც საძნელებელია. ორ ვეებერთელა, ალაზანს შუა მდებარე ჩაღმის სოფლებში წყალი არ არის. პაწაწინა წყაროებთან პრიმიტიული საცავების (მეტწილად დაჟანგებული კასრების) დანახვა გემოს უკარგავს მთის ანკარა წყალს. მთათუშეთის ცენტრშიც, ომალოშიც, თუ ოჯახს ან დაწესებულებას ოდნავ მეტი წყალი დასჭირდა, 3 კილომეტრზე უნდა ზიდონ სახედრით ან ცხენით.

ცხენი მთათუშეთში კაცის უნაცვლებელი შემწეა. პატარა, კუნთ-ძარღვიანი, ჭკვიანთვალება, ალღოიანი ცხენი. ცხენი ჩვენი შემწეც გახდა. კოჭებამდე გრძელი ძუის განუწყვეტელი ქნევით, შეუსვენებლად მისდევს და მისდევს ბილიკს. ხან ცათაბჯენილ მწვერვალს დაეკიდება, ხან თვალჩაუწვდენელ უფსკრულში ეშვება. ხანდახან ნაშალით ან ღვართქაფით გაწყვეტილ ბილიკთან წამით ჩერდება, კანქვეშ დაძაგრული კუნთების თრთოლვას იმორჩილებს, მერე თითქოს გადაწყვიტა, რაც იქნება იქნებაო, თვალს არიდებს დასაკარგავში დაგორებულ თავის ნაკვალევს, და სამშვიდობოს გასული, ჩორთში ინელებს განცდილს. ხან თითქოს ცირკის არენაზეაო, ნალების რიტმული რაკუნით ადის და ჩადის უფსკრულისპირს საფეხურებივით გამოჩრილ კლდის შვერილებზე და ყელს იღერებს, ცდილობს გვერდიდან მაინც დაგინახოს, თითქოს გეკითხება, ხომ არ შეგეშინდაო.

ვაღიარებ: ერთხელ მართლაც შევშინდი. პირიქითიდან წოვათაში გადასვლისას. დილაადრიან გადმოვედით პირიქით ალაზანზე და სუბალპური ტყით დაფარულ კალთებს შევუდექით. სხვადასხვა თაობის ფიჭვის, მურყნის, ვერხვის, ბოყვის, ჭნავის, არყის მრავალრიცხოვანი ოჯახები შიგადაშიგ განზე გამდგარიყვნენ, კენკროვანით მოფენილ პატარ-პატარა მინდვრებისათვის დაეთმოთ ადგილი. ცხენით სიარული შეუძლებელი იყო, ტოტები სახეს გვიფხაჭნიდნენ, თანაც ძალზე მაცდურად გამოიყურებოდნენ მწიფე მოცხარისა და ჟოლოს ბუჩქები, და ფეხით მივდიოდით. მერე ტყე გათავდა. ალპური ზონის ნოყიერი იალაღებიც ავიარეთ მწვერვალს რომ მივაღწიეთ, ქვასავით მაგარმა, მსხვილმა სეტყვამ დაგვიშინა. თავ-პირ, მხრებ და მკლავებდაბეგვილებმა, როგორც იქნა გავაღწიეთ სეტყვის არეს და თავქვე დავეშვით. ახლა წვიმამ გვისწრო. ძვალრბილამდე გაჭანჭახებულს, გაყინულს, ხელ-ფეხი რომ ვეღარც სადავეს გრძნობდა, ვერც უზანგს, ნისლი გამომეკიდა. ირგვლივ მწვერვალებიდან წამოვიდა. მომდევდა, სწრაფად მომდევდა და წამომეწია, თვალები, პირი, ხახა ამომივსო, სული შემიხუთა. ნისლში მეგზური დამეკარგა. ვეღარ მოვითმინე და ვიყვირე:

— გოდერძი-ი, ვერ გამოვალ, მეშინია-ა!...

— მიუშვი სადავე, მიუშვი, თვითონ გამოგიყვანს! — ყრუდ მესმის ხმა არსაიდან. რა იცის მეგზურმა, რომ სადავეც მიშვებულია, უზანგებიც ცარიელი ყანყალებენ და ცხენს თავი ვეღარ დაუჭერია, სველ ბალახზე გვერდ-გვერდად მისრიალებს ქვევითკენ, და მე შიშმა ღონე დამილია...

მერე ქვევით, გომეწრის ამღვრეულ და გაცოფებულ ალაზანთან, ნაბდის ჩარდახქვეშ ვზივარ. წვიმს, მაბაბანებს, და რა ეშმაკმა მომაშია, წვიმით გაჟღენთილ პურ-კარაქს შევექცევი.

— აბა აიხედე, იქაურ ბალღებს შიში არა აქვთ, მარტოკანი ჩამოდიან ხოლმე კალმახის საჭერად, — თავაზიანად და ორაზროვნად ამბობს გოდერძი.

ავიხედე. მთაზე სოფელი გადმომდგარიყო. წვიმის ფარდა მირაჟს ამსგავსებს, და თუ ის მირაჟი არ არის, ვერხოვანი უნდა იყოს, მოვსულვართ წოვათაში!

ჩემი გახარება ნაადრევი აღმოჩნდა. ორ საათზე მეტი კიდევ ვიარეთ ტყის ბილიკებით. თავსხმა წვიმას ხის ტოტებიდან წამოსული შხაპიც ერთვოდა. ბინდდებოდა, წოვათას წყალზე რომ გადავედით, და შორიდან მწყემსების ქოხი დავლანდეთ.

— უი, თინა! — ყვირის ვიღაცა მაღალი ქალი და გრძელ მკლავებგაშლილი მორბის ჩემკენ.

ელისო ბილანიშვილი ვიცანი, გოგლას ბავშვობაზე კარგი წიგნი რომ დაწერა. ელისოს მეორე ქალიც მოსდევს და ბავშვებიც გამორბიან. მერე გავიგე, ის ქალი ნატალია, მეცხვარე-ბრიგადირის, ლავრენტი ბაშინურიძის ცოლია და ბავშვებიც: პატარა, ქერა-ქერა ბიჭი ჯარჯი და მასზე უფროსი, შავთვალა გოგო ნანიც მათი შვილებია.

ქალებმა ჩემი ტანისამოსი გაწურეს, მაგრამ არ იციან, სად გააშრონ, ქოხშიც წვიმს. მე თექაში გამხვიეს, ფეხზე ჩითები ჩამაცვეს, არაყი დამალევინეს და ფარღალალა ჩარდახქვეშ აგიზგიზებულ ცეცხლთან დამსვეს.

გოდერძის ტანისამოსს ორთქლი ასდის. ის უგუნებოდ დაჰყურებს ჩემი უნაგირიდან გადმოღებულ ნუკრის ტყავს, რომელსაც წურწურით წყალი გასდის. ის ჩემი მეგზური, გოდერძი ქაძე 35 წლის კაცია, ალვანელი. ბალღობის ათი წელი ცხვარში უვლია. ახლა ოთხი შვილის მამაა, მძღოლია, ელექტროშემდუღებელი და ცხვრის სანაქებო მპარსავი. წელს ივლისში, ფრუნზეში გამართულ მეცხვარეობის საკავშირო შეჯიბრში მპარსავთა შორის მეოთხე ადგილზე გამოსულა, ჯილდო და ადლერის სანატორიუმის საგზურიც მიუღია. თვითონ კი ჯავრობს, არ ვიცოდი, რისთვის მივდიოდი, თორემ ასე რათ შევრცხვებოდი, მეოთხე ადგილზე რათ გამოვიდოდიო.

გოდერძი პირიქითიდან ვახტანგ კრიტიულმა გამომაყოლა მეგზურად — დაკარგულ დროს ეგ ყველაზე მალე აინაზღაურებსო!

პირიქითში, ისევე როგორც დანარჩენ ფერმებშიც, გაცხარებული პარსვაა. უთენიიდან გრუხუნებენ აგრეგატები, ბჟიჟინებენ ელექტროსაპარსები, და ხელმარჯვე მპარსავი-მწყემსები 7-8 წუთში პარსავენ თითო ცხვარს. თადარიგის მოყვარულ ვახტანგ კრიტიულს საპარსი მაკრატლებიც აქვს მომარაგებული. განა სანდოა ეს ნაჯაფარი, დაძველებული აგრეგატი, რა იცი, რა წუთს ჩაუწყდება სიბერისაგან ჩახლეჩილი ხმა?!

დახარისხებული, აწონილი მატყლი წნეხთან გააქვთ. წნეხს იგივე აგრეგატი ამუშავებს. მატყლი იწნეხება. ტილოში იფუთება და 45-50-კილოგრამიანი ცალებით ზვინდება. მათ ბარში გადასაზიდად ახლა ვერტმფრინავია საჭირო, ის ფერმებისთვის დაწესებული გრაფიკით უნდა მოვიდეს. მაგრამ გრაფიკს დაიცავ, როცა ვერტმფრინავს ხან უღელტეხილზე ჩამოწოლილი ღრუბელი აფერხებს და ხან თელავის რაიონისათვის საჭირო სხვა მარშრუტი? ამიტომ მატყლის დაზვინებული ცალები ბრეზენტქვეშ უცდიან გამგზავრების საათს, ხოლო თუშური გუდის ყველით დატვირთული ცხენები ბარისკენ მიმავალ ბილიკებზე წალიკდებიან.

გაპარსული ფარები მდინარის პირას გამართულ აბაზანაში ბანაობენ. რა თქმა უნდა, ცხვარს ბანაობა სულაც არ სიამოვნებს, საბრალისად ბღავის და ცდილობს როგორმე დაუძვრეს მწყემსს ხელიდან. რა ქნას, ცხვარია და არ ესმის, რომ კრეოზოტიანი აბაზანა მას უფრო დიდი უსიამოვნებისაგან იცავს!

დაბანილი, დასერილი ცხვარი იალაღს უბრუნდება. დაე უკანასკნელ დღეებსაც ისუნთქოს მთის სუფთა ჰაერით, ივსებოს მსუყე, სურნელოვანი ბალახით. მერე კი, ჯანღონით სავსე, გაპიტკინებული წავა ზამთრის საძოვრებისაკენ. მალე ალვანის მეურნეობის 100 ათასამდე ცხვარი დაიძვრის მთიდან, მთისა და ბარის პირობითი მოსაზღვრე შაქრიანში ჩავა, იქიდან საზამთრო საძოვრებისაკენ გაემართება.

და ეს — თუშების კიდევ ერთი, ყველაზე დიდი დარდია. იმიტომ რომ:

კარგად, მშვიდობიანად, უკლებლად ივლის ცხვარი ბარამდე. არც მერე გაუჭირდება — წნორიდან შირაქის ველებამდე. მაგრამ რა ეშველება გზის იმ მონაკვეთს, შაქრიანიდან წნორამდე? მონაკვეთს, რომელიც წელიწადში ორჯერ მეცხვარეებისათვის გოლგოთაზე ასასვლელ გზად იქცევა ხოლმე?

სოფელ დართლოს ხედი.

ცხვრის გასავლელი ტრასის ეს მონაკვეთი, სიგანით 100-მეტრიანი, თელავის, გურჯაანის და სიღნაღის რაიონების ტერიტორიაზე გადის. იმ ვიწრო ტრასით მიდის არა მარტო ალვანის საბჭოთა მეურნეობის, არამედ სხვა რაიონებისა და კოლმეურნეობების მრავალი ცხვარიც. გაივლიან პირველი „ბედნიერი" ფარები, მოსძოვენ, რაც კი გზად ბალახია, და მათ უკან მიმავალ უამრავ პირუტყვს მტვერი და ნაკელიღა რჩება. ეს გარემოება თავისთავად უქმნის მეცხვარეებს დიდ სიძნელეს. მაგრამ ამ სივიწროვეს აიტანდნენ მეცხვარეები, მორიგდებოდნენ ერთმანეთში, სხვაც არა იყოს რა, პირველად გავლის რიგრიგობას დააწესებდნენ, საგზაო საკვებსაც მოიმარაგებდნენ. მთავარი სხვა რამ არის:

ყველა ჩვენს მოძმე რესპუბლიკაში, ყველა ქვეყანაში, სადაც კი მეცხვარეობას მისდევენ, ტრასის ხელშეუხებლობა მტკიცედ არის დაკანონებული. ჩვენთან კი ეს კანონი უხეშად ირღვევა. შირაქისაკენ გასავლელი ცხვრის ტრასა მთავრობის კომისიის მიერ არის დადგენილი და მტკიცედ უნდა იყოს დაცული. ამისთვის წითელწყაროში არსებობს სპეციალური ორგანიზაცია — საზამთრო საძოვრების და ტრასების სამმართველო. ზოგჯერ ამ სამმართველოს უმოქმედობა, ზოგ შემთხვევაში კი მათ მიერვე კანონის დარღვევა აქცევს მეცხვარეებისათვის იმ მონაკვეთს საწამებლად. თვით ის რაიონებიც და ის კოლმეურნეობებიც, რომელთა ცხვარს უწევს ამ ტრასაზე გავლა, არად აგდებენ მის ხელშეუხებლობას. ერთ კოლმეურნეობას ვენახის ფართობის გადიდება უნდა და უდიერად იჭრება ტრასის ფარგლებში. ზოგ კოლმეურნეს ან დაწესებულებას თავისი ბინის გამოტანა უნდა შარაზე და არ ერიდება ტრასის დავიწროებას. ზოგი კოლმეურნეობა ცხვრის გამოვლამდე გულარხეინად ალაღებს ტრასაზე თავის ნახირს, ღორის ჯოგს, და სინდისი ძილს არ უფრთხობს იმის გამო, რომ თანამოძმეების დოვლათს აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს.

მთიდან შირაქისაკენ მიმავალი ღონიერი ცხვარი უძლებს იმ სამიოდე დღის დაუსვენებლივ სიარულს და უჭმელობას (2-3 დღე უნდება შაქრიანიდან წნორამდე გავლას), გამოზამთრებული, დასუსტებული პირუტყვი კი, თავისი ჯერ მუხლმოუმაგრებელი ნამატით, მთებს დიდად დაზარალებული აღწევს.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი სალაროს ზარალთან ერთად მეცხვარეები უზომო ტკივილს განიცდიან გზაში დავარდნილი თვითეული ცხვრისა და ბატკნის გამო. სწორედ ეს ტკივილი აქცევს მათთვის გოლგოთად ტრასის იმ მონაკვეთს. დაე ეს ნურავის გაუკვირდება. ამ სიტყვებით მივედით ერთ-ერთ მთავარ სათქმელთან. ამის გაგება აადვილებს მთათუშეთის ხვალინდელი დღის დანახვას:

ცოტაღაა ისეთი მეცხვარე, რომელსაც თითო ბატკნის დაღუპვა გულს უმდულრავს, ისეთი მეცხვარე, როგორიც ვთქვათ, პირიქითის ფერმაში ლადო ბექურიძეა — 60 წელი ცხვარში ნავალი, ლენინის ორდენოსანი, პენსიონერი, ალვანში გაწყობილ სახლში რომ ვერ დგება და ისევ მთაშია, ცხვართან. თითო-ოროლიღაა ისეთი მეცხვარე, რომელიც წელიწადი თორმეტი თვე გუდაში მჭლე საგზლით, ნაბდის შემცვლელი ბრეზენტის „სპეცოვკით" მწყემსავს ანაბრებულს და ჯიქურ შეერკინება გაგიჟებულ სტიქიონს ერთი ცხვრის გადასარჩენად. დაიცალა მთათუშეთი. 47 ისეთ სოფლიდან, როგორიც ზემოთ ვახსენეთ, 6-7 სოფელსღა ჰყავს პატრონი, დანარჩენი დანგრეული, გაუკაცრიელებულია და ალბათ შორს არ არის დრო, როცა მათი კვალიც გაქრება...

ამას გონება ვერ შეურიგდებოდა, სამართლიანი განსჯა რომ არ შველოდეს. საიდან ეყოლება იმ სახელოვან მეცხვარეებს ღირსეული ცვლა, როცა ირგვლივ ცხოვრება დუღს, გიგანტური ნაბიჯით მიისწრაფვის წინ, იქ, მთათუშეთში კი თითქმის ყველაფერი გაყინულია პრიმიტიულობაში... ფრაზის სილამაზისათვის კი არ ვუწოდე იქ მყოფ მწყემსებს „ღმერთები". დიახ ჩვეულებრივზე შეუდარებლად ძლიერი და მაღალი სული უნდა ჰქონდეს კაცს, თავდავიწყებით უნდა უყვარდეს თავისი საქმე, რომ აიტანოს ამ საქმიანობის გასაოცარი უთანაბრობა სხვა პროფესიასთან შედარებით.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველ ბრიგადაში ვეტფერშალია, ყოველ ფერმას ზოოტექნიკოსი ჰყავს, საბჭოთა მეურნეობას მთავარი ზოოტექნიკოსიც ჰყავს, მთავარი ვეტექიმიც და ამავე დროს არსად, არც ერთ ფერმაში ადამიანისათვის არ არსებობს ფერშალი ან ექთანი. ოთხივე ფერმა უზრუნველყოფილია პირუტყვის ყოველგვარ დაავადებასთან საბრძოლველი მედიკამენტებით, და ოთხივე ფერმა რომ დაიაროთ, ადამიანისათვის თავის ტკივილის ტაბლეტს ვერ იშოვნი, თითის გადასახვევ ნაფლეთს ვერ მონახავ.

თუნდაც წარმოიდგინეთ, რომ შეცივებულ კაცს ჩაი მოუნდა ან თუთუნი დაელია, ან ბარათის გაგზავნა უნდა ბარში, ან ღილი აუწყდა, ან სანთელი დასჭირდა, ან ბალღებისათვის კამფეტი ინატრა. ის კაცი ცხენს უნდა მოაჯდეს, ცხრა მთა და ხევი გადალახოს, ომალოს მიაკითხოს, და ღმერთმა უწყის, იქ კი ნახავს იმას, რის შეძენაც შეალია იმდენი დრო და ენერგია?

მე სულაც არ მინდა საღებავების დამუქება. პირიქით. როცა წოვათაში ცნობილმა სარქალმა ლაზარე აზიკურმა ჭერჩამონგრეულ და კედლებდაფაცხავებულ ბინაში ყველა მშრალი ადგილი სტუმრებს დაგვითმო და თვითონ წვიმის შხაპის ქვეშ დამჯდარი გვიღიმოდა, მე კი ამაოდ ვცდილობდი ნამიანი სიგარეტის ანთებას, ჩვენ მხიარულად ვლაპარაკობდით ცივი შხაპის სარგებლიანობაზე, ნიკოტინის მავნებლობაზე, ბექთქონდარას ჩაის სურნელებაზე. არ კი ვიცოდი, რისთვის ვილესავთ ენას, ლაზარეს ნახევარი სიცოცხლე წვიმაში გაუტარებია, ნიკოტინი ჭირივით სძულს და იცის, ბექთქონდარას ქართულ ჩაისთან უპირატესობის მტკიცებით თავს ვიქცევთ. ალბათ ამით ვცდილობდით მივვეჩქმალა სირცხვილი და რაღაც დანაშაულის გრძნობა, რადგან ლაზარეს მდუღარემ ფეხი დაუთუთქა, მთელი წვივი დაჩირქებული აქვს, ომალოში ვერც ფეხით, ვერც ცხენით ვერ წავა, ან იქ ვისთან უნდა წავიდეს? ის სახემწყაზარი მოხუცი კი ჩვენ გვამშვიდებს:

— რა მიშავს რა, მოვა ვერტმფრინავი და მაშინ ჩავალ ბარში ექიმთან...

აგვისტო რომ იწურებოდა, მთაში მამებთან და პაპებთან ამოსულ ბავშვებს ღელვა დაეტყოთ. დღე-დღეზე სწავლა იწყებოდა და სკოლაში დაგვიანებისა ეშინოდათ. მეცხვარეების ოჯახები წასასვლელად აიყარნენ და ვერტმფრინავის მოლოდინში ფერმის სამმართველოებთან დაბანაკდნენ.

რამდენიმე დღის ამაო ცდის შემდეგ (ცუდი ამინდი იყო), როცა ფერმებიდან გასაზიდი ქონება დახვავდა და წამსვლელთა რაოდენობაც ისე გაიზარდა, რომ ვერტმფრინავში ადგილის მიღების შანსი მხოლოდ „იღბლიანებს" რჩებოდათ, ჩვენ ცხენით მგზავრობის აგიტაცია გავაძლიერეთ. რა თქმა უნდა, ჩვენი აგიტაციის კი არა, საკუთარი მწარე გამოცდილების შედეგი იყო, რომ ხალხი მიდგა-მოდგა, და მალე ცხენების ქარავნები წავიდნენ ბარისკენ. უნაგირზე გადაკიდებული ხურჯინის თვლებიდან ბალღების მოღიმარე სახეები ჩანდა. უფრო მოზრდილები — დედას ან მამას უსხდნენ უნაგირზე. უფროსკლასელები თავმომწონედ აზიდულიყვნენ ცხენზე დაკრულ ბარგიბარხანაზე. ოჯახის უფროსი ცხენს უძღოდა. მიდიოდნენ ქარავნები. სწორედ ისე, როგორც მიდიოდნენ ათი, ოცი, ალბათ ასი და ორასი წლის წინათაც...

ჩვენც ასე წამოვედით. ლავრენტი ბაშინურიძე მიგვიძღოდა, უკან ჯარჯო ეჯდა. სწორედ ამ გზაზე დაბადებული ბიჭი წელს პირველად უნდა წასულიყო სკოლაში და ღელავდა, ალვანში ჩასვლისას ჩანთის ყიდვას თუ მოასწრებდა. მეორე ცხენით ნატალია მისდევდა, უკან მესამეკლასელი ნანი ეჯდა, გოგო, რომელმაც იცოდა, რომ ძალიან ლამაზია და უხაროდა. სადაც გზა საშუალებას იძლეოდა, გვერდით ალვანელი აბრამ შავხელიშვილი მომყვებოდა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ალაზნისთავში გავიცანი, ეთნოგრაფების „თუშეთ-ჩაჩნეთის ექსპედიციას" ხელმძღვანელობდა, და წოვათაში შევხვდი კვლავ. ჩვენთან ერთად მოდიოდა ელისო ბილანიშვილიც და ერთიც ალვანელი ბიჭი ლაშა, ფერმაში სეზონურ სამუშაოზე ამოსული მეათეკლასელი კომკავშირელი. ის საოცრად ღელავდა, სკოლაში არ დაგვიანებოდა. მისი ნერვიულობა თითქოს ცხენსაც გადასდებოდა, ხან ქარავნის თავში, ხან ბოლოში მოექცეოდა, და განსაკუთრებით სახიფათო ადგილებში დაუშვებელ ილეთებს მიმართავდა.

ჩვენმა მეგზურმა მოკლეზე წაგვიყვანა. კარგი ყოფილა. მანძილის შემმოკლებელი ბილიკები მთაში თურმე უფრო ინტიმურად აახლოებენ ადამიანებს გარემოსთან. გომეწრის ალაზანი რამდენჯერმე გადავკვეთეთ, შავწყალას ხეობით და აღმართით ხორხზე ამოვედით, სახარის უღელტეხილი დავძლიეთ (2.300 მ), ორწყლის ხეობაში დავეშვით და აღმართით, გაუთავებელი აღმართით მივაღწიეთ შავი კლდის უღელტეხილს, ცერს (3.500 მ) — კავკასიონის ცენტრალური და შავკლდის ქედების შესაყარს. აქ, მგზავრების შესვენების ტრადიციულ ადგილზე რამდენიმე ვეება ლოდი ეგდო. უზომოდ დაღლილი ვიყავით, მაგრამ შესასვენებლად აღარ გვეცალა, დაღამებამდე უნდა გადავსულიყავით უღელტეხილზე. ძალიან ციოდა. ჩრდილოეთის გამჭვალავი ქარი ირიბ წვიმას და სეტყვას გვაყრიდა. ნატალიამ რეზინის სათბურიდან პაწია ყანწებში არაყი ჩამოასხა და ყველას უკლებლივ ჩამოურიგა, ბავშვებსაც და მეც. ყანწები სულმოუთქმელად დავცალეთ. ყველას ეგემრიელა ის ზეზეურად გადაყლურწული არაყიც, მოხარშული ბატკნის ხორციც და წინ საღამოს სიპ ქვაზე ჩვენივე გამომცხვარი ლავაშები.

ცერიდან მეტისმეტად დაქანებული ბილიკი მიდიოდა და ჩვენმა მეგზურმა ფეხით სიარული გვირჩია. ახლაც არ ვიცი, იმ არყის ბრალი იყო თუ დაღლილობისა, ბილიკს რომ ჩავხედე, მომეჩვენა — იმ დასაკარგავ უფსკრულისკენ მივგორავ. ისე ცხადად მომეჩვენა, რომ გულისცემა შემიჩერდა, და შავხელიშვილს რომ არ მოესწრო, ჩემი საქმე აშკარად წასული იყო...

ღამე მელთკუდის დაღმართზე ვათენეთ. ცისქვეშ, სველ მიწაზე რომ ვწვებოდით, დარწმუნებული ვიყავი, დილაზე თავს ვეღარ წამოვწევდით, მაგრამ ის ღამე ალბათ ტკბილი ძილისა იყო, და ადგომისას ერთხელაც არავის ცხვირი არ დაუცემინებია, ოღონდ სველ ნაბადს ზოგი ჩვენგანი შავი საღებავით სასაცილოდ დაემშვენებინა.

თორღვას დაღმართზე ომალოდან წამოსულ 23-ცხენიან ქარავანს შევუერთდით. ცხენებიდან ხშირ-ხშირად გვიხდებოდა ჩამოსვლა — აბანოს გზის მშენებლობაზე ბულდოზერები გრუხუნებდნენ და უჩვეულო ხმაური აფრთხობდა მათ.

ჩვენც, ჩვენზე წინ და ჩვენს შემდეგ მოსულებიც აბანოს ხიდთან, მშენებლობაზე ტვირთდაცლილი მანქანების მოლოდინში ისევ ბანაკად დავლაგდით...

## რამდენიმე კითხვის დაბადება

მაინც რა გაუჭირდა ჩვენს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს, რომ, მიუხედავად მრავალი თხოვნისა და მოთხოვნისა, ვერა და ვერ დაუდო გული ახმეტის აეროდრომის გამოყენებას? ნუთუ ალვანის გიგანტურ მეურნეობას არ უნდა მიეცეს საშუალება დროულად ზიდოს თავისი ტვირთი, დროულად მოემსახუროს მთათუშეთს? ჩვენ იმისი მოწმე ვიყავით, რომ მთათუშეთში მიმავალი ოჯახები თელავის აეროდრომზე ათენებდნენ და აღამებდნენ, უიმედოდ და უშედეგოდ უცდიდნენ სხვადასხვა მიმართულებით გაუჩინარებულ ვერტმფრინავებს. წინათ ომალოში თვითმფრინავი დადიოდა, ის ადვილად სძლევდა უღელტეხილზე უამინდობას, რაც დაუძლეველია ვერტმფრინავისათვის. თვითმფრინავი ახლა მოხსნილია ამ მიმართულებით. ეგებ თვითმფრინავი არ არის რენტაბელური? ამიტომ ხომ არ გაძვირდა ბილეთი ვერტმფრინავზე, 4 მანეთის ნაცვლად 7 მანეთი გახდა?

ვფიქრობ და ვერ გამიგია, რატომ არ შეუძლია ახმეტის რაიკოოპკავშირს ზაფხულობით მთაში, მოსახერხებელ ადგილზე სავაჭრო ფარდულის დადგმა, ფერმებში, ბინებში ურიკის გაგზავნა მაინც?

როგორ მოხდა, რომ ალვანის საბჭოთა მეურნეობის მრავალრიცხოვან შტატში არ არის მთათუშეთს განკუთვნილი ექიმი, ექთანი ან ფერშალი? რომ ფერმებში არ არის პორტატიული აფთიაქები, ადამიანისთვის პირველი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო მასალა და მედიკამენტები?

მართალია, მეურნეობის განყოფილებებზე მიმაგრებული სამშენებლო-საწარმოო ბრიგადები ბარში და ზამთრის საძოვრებზე მრავალ საჭირო სამუშაოს ასრულებენ, მაგრამ რა დაშავდება, რომ მათ მთაშიც უფრო ხშირად აიხედონ? ნასოფლარების მასალით მაინც შეაკოწიწონ ბინები, რომ მწყემსს თუ სარქალს, თავისი იშვიათი დასვენების საათს შეეძლოს ტანისამოსი გაიშროს და გათბეს? განა ყოველთვის სანდოა ამინდი მთაში?

მეურნეობის პარტორგანიზაციაში 215 წევრი და კანდიდატი ირიცხება, კომკავშირში გაერთიანებულია 420 ახალგაზრდა. რატომ არ უნდა დაინტერესდეს რომელიმე კომუნისტი ან კომკავშირელი — ზაფხულის განმავლობაში გაზეთს თუ ხედავს მეცხვარე მთაში? ან რატომ არ შეიძლება, ვთქვათ, ფერმის უკეთეს ბრიგადას მიეცეს ტრანზისტორი, რომ ადამიანებს უკანასკნელი ცნობების მოსმენა მაინც შეეძლოთ?

ეგებ საჭიროა, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარების მესვეურებმა კარგად გაიცნონ მთათუშეთი, აწონდაწონონ და იმსჯელონ მისი გამოყენების შესახებ. ბოლო წლებში ბევრ ჩვენგანს ჰქონდა საშუალება ემოგზაურა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს იქით. მთათუშეთი რომ შევადაროთ მსოფლიოში განთქმულ მთიან კურორტებს, ეჭვი არ არის, საქართველოს ეს კუთხე, თუშეთის ალპები, თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური მონაცემებით ბევრ მათგანს დაჩრდილავდა.

1961 წლის დასახული იყო მრავალი ღონისძიება, რათა მთათუშეთის ჯერ კიდევ ცოცხალ სოფლებში, კერძოდ, ჩაღმის სოფლებში — ომალოში, დიკლოში, შენაქოში — შექმნილიყო ხალხის მუდმივ საცხოვრებელი პირობები. ის სოფლები უნდა უზრუნველყოფილიყვნენ წყლით, ელექტროენერგიით, უნდა აშენებულიყო საავადმყოფო, აგებულიყო სამი ხიდი, უნდა გაყვანილიყო გზა თორღვას აბანოდან ომალომდე და სხვა მრავალი.

იმის ჩამოთვლა, თუ რა არ არის გაკეთებული დღეისათვის, ყველაფერ ზემონათქვამის გამეორება იქნებოდა. გაცილებით ადვილია იმის თქმა, თუ რა გაკეთდა ამ ათეულ წელიწადში.

ომალოში საავადმყოფოს აშენების ნაცვლად დაიდგა ფინური, ზამთრისათვის აბსოლუტურად მოუწყობელი სახლი.

აშენდა ერთი ხიდი პირიქით ალაზანზე (დართლოში).

გზის მშენებლობა, რომელიც მეტრომშენს უნდა ეწარმოებინა, აქამდე შეჩერებული იყო თბილისის მეტროს მშენებლობასთან დაკავშირებით და მხოლოდ მიმდინარე წელს დაეტყო სამუშაოთა გამოცოცხლება თორღვას აბანოს გზის გაგრძელებაზე.

ეს არის და ეს.

მთათუშეთიდან წამოსვლა მესიკვდილებოდა, ფეხს ვითრევდი. ალვანიდან და ახმეტიდან კი გაქცევა მეჩქარებოდა. მერიდებოდა იმ ხალხის შეხვედრა, იქითობას რომ მიმეგობრეს, მივხვდი, იმედით რათ მიზიარებდნენ თავისი რაიონის სიამ-სიმწარეს. და რა მეთქვა, რა? განა მე ვიცი, ზოგიერთ უწყებასა და ორგანიზაციას რატომ არ მიაჩნია საჭიროდ მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულება? რატომ ხდება, რომ ისინიც (კერძოდ, წყალთა მეურნეობის და სოფლელექტრომშენის მესვეურები) ზამთრის საძოვრებისა და ტრასების სამმართველოს მსგავსად, არ გრძნობენ არავითარ პასუხისმგებლობას არც უფროსის, არც უმცროსის, არც თავისი ერისა და მისი ხვალინდელი დღის წინაშე?

**საინტერესო არ იქნებოდა მათი მოსმენა, როცა ისინი სასმისით ხელში წარმოთქვამენ მოქარგულ სიტყვებს სამშობლოზე, პატრიოტობაზე, თავისი ერის მომავალზე?!.**

# გაგრა

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

**ი. გოგეჩია**

● ახალი ქარხანა ბზიფში ● მოძრავი სახელოსნო ● კლიმატური მკურნალობა სანატორიუმში ● საავტომობილო გზატკეცილი გაგრა-ფსოუ. ● მეგობრობის საღამო

☐ ამას წინათ პირველი პროდუქცია გამოუშვა აფხაზეთის კვების მრეწველობის ახალმა საწარმომ — ბზიფის უალკოჰოლო სასმელების ქარხანამ.

გაგრა-სოხუმის ავტომაგისტრალთან ვრცელ მოედანზე აღიმართა ქარხნის კომპლექსი. მთავარი კორპუსი, საქვაბე, არტეზიული და წყალსაქაჩი კოშკით, საკომპრესორო და სხვ... ქარხნის ლიმონათის საამქრო აღჭურვილია თანამედროვე სამამულო მოწყობილობით.

ქარხნის წარმადობა წელიწადში 300 ათასამდე დეკალიტრი უალკოჰოლო სასმელი იქნება. უახლოეს ხანში აქ აითვისებენ მანდარინის, ფორთოხლის, ვაშლის სასმელების წარმოებას.

☐ **მშრომელთა** საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ უკანასკნელ პერიოდში ბევრი სიახლე დანერგა რაიონის სოფლების მშრომელთა მომსახურებისათვის. ამ მხრივ მოწონებით სარგებლობს, ეგრეთწოდებული, „მოძრავი სახელოსნო" — სპეციალური ავტომანქანა, რომელსაც მაღალკვალიფიციური მკერავები, ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შემკეთებლები ემსახურებიან.

მოძრავი სახელოსნოს თანამშრომლები იღებენ აგრეთვე შეკვეთებს ტანსაცმლის ქიმიური წმენდისათვის, ელექტრომოწყობილობისა და საოჯახო ნივთების შეკეთების, ახალი ავეჯის, ხის ნაკეთობათა ცალკეული დეტალების დამზადებისათვის.

☐ **განსაკუთრებით** სასიამოვნოა ძილი დღისით და ღამით სუფთა ჰაერზე, ზღვის პირას, ტალღების მსუბუქი ნარნარის ხმაურში. ეს მკურნალობაა.

ძალზე ხელსაყრელია კლიმატური მკურნალობა ნერვული სისტემის, სისხლის მიმოქცევისა და სასუნთქ ორგანოთა დაავადებისას.

უკანასკნელ ხანებში კლიმატური მკურნალობა სულ უფრო ფართოდ ინერგება კურორტ გაგრის ჯანმრთელობის კერების სამკურნალო პრაქტიკაში.

ამას წინათ კლიმატური სამკურნალო პავილიონი 80 საწოლიანი ადგილით მიიღეს გაგრის სანატორიუმ „საქართველოს" დამსვენებლებმა.

☐ **დაიწყო** გაგრა-ფსოუს გზატკეცილის რეკონსტრუქცია და მშენებლობა, რომელსაც ასრულებს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს გაგრის № 3 საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველო (უფროსი გ. ხასია).

გაგრელმა გზის მშენებლებმა ამ 19-კილომეტრიან მაგისტრალზე უნდა ჩაატარონ სულ 430 ათასი კუბმეტრი მიწისა და კლდის სამუშაო, ჩაიდება 38 ცალი მილი 639 გრძივმეტრზე, აშენდება 11 ხიდი 551 გრძივმეტრზე.

გაგრა-ფსოუსა და გაგრა-ბზიფის გზატკეცილის რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სამუშაოთა კომპლექსი 1975 წელს დამთავრდება.

☐ **კურორტ** ბიჭვინთის კინოსაკონცერტო დარბაზში გაიმართა საინტერესო კონცერტი — „მეგობრობა". მასში მონაწილეობა მიიღეს კამერუნის, ლიბანის, ბოლივიის, სირიის, სომალის, სუდანის, იორდანიის ტანზანიის, ინდოეთის, კვიპროსის, ჩილის, ეგვიპტის, პორტუგალიის, ერაყისა და პერუს წარმომადგენლებმა: ესენი არიან სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში.

კონცერტის მონაწილენი დამსწრეთ გააცნო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა კ. ხარიტმანმა.

---

ერთი სურათის ისტორია

# იმ დღეთა სახსოვრად

## კალეტი ალბინო ეძებს თავის ქართველ მეგობარს

გუშინ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში შევხვდი თბილისში ჩამოსულ იტალიის წინააღმდეგობის ვეტერანთა ჯგუფის წევრებს, რომლებიც ინტერესით ეცნობოდნენ ქართული ხელოვნების ძეგლებს.

ერთ-ერთმა იტალიელმა, როცა გაიგო, რომ „კომუნისტის" კორესპონდენტი ვიყავი, ჯიბიდან პატარა უბის წიგნაკი ამოიღო და გამომიწოდა დროთამისაგან უკვე გაყვითლებული სურათი. მასზე ასახულია ახალგაზრდა ქართველი ვაჟკაცი ავტომატით ხელში. სურათის მეორე გვერდზე ქართული წარწერაა „სახსოვრად „ნელოს" დავით აქვსენტის-ძე კაპანაძისაგან, 19 X-45 წ."

იტალიელი, გვარად კალეტი ალბინო, პატარა ქალაქ კასტელე ტოტიჩინოს მერი, გვთხოვს მოვძებნინოთ მეგობარი, რომელიც მასთან ერთად იბრძოდა პარტიზანთა რაზმში გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ.

დავინტერესდით და კალეტი ალბინოს ვთხოვეთ ორიოდე სიტყვით მოეთხრო თავისი ბიოგრაფია და გაეცნო ამ სურათის ისტორია.

კალეტი ალბინო უბრალო მუშის შვილია, მამამისი მაღაროში მუშაობდა. 1932 წელს ფარულად შევიდა კომუნისტურ პარტიაში და აქტიური პროპაგანდისტული მუშაობისათვის ორჯერ კიდევაც იჯდა ციხეში — პირველად 1934 წელს, მეორედ კი 1940 წელს. ციხეში იგი დაუახლოვდა ცნობილ კომუნისტს ლევ მანიევიჩს, რომლის ფსევდონიმი იყო „ეტიელი".

მასთან ერთად ციხეში ოთხი წელი დაჰყო. საპყრობილიდან გაქცევის შემდეგ, კალეტი ალბინო აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩრდილოეთ იტალიაში ნოვარის პროვინციაში მოქმედ პარტიზანულ რაზმში. აქ იგი გაეცნო ქართველ პარტიზანებს, რომლებიც იტალიელების მხარდამხარ მამაცურად ებრძოდნენ გერმანელ ფაშისტებს.

კალეტი ალბინო პარტიზანთა ერთ-ერთი დივიზიის მეთაური იყო. ის ახლო იცნობდა ქართველ ვაჟკაცს, ლეგენდარულ გმირს ფორე მოსულიშვილს და უაღრესად დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს იტალიის მთავრობის მიერ „ოქროს მედლით" ფორეს დაჯილდოების გამო. ეს ჯილდო ყველა ჩვენი იტალიელი და ქართველი პარტიზანის დამსახურების აღიარებაც არისო.

— ფორეს გარდა ბევრ ქართველ ვაჟკაცს ვიცნობდი, — ამბობს კალეტი ალბინო, — ისინი ბრძოლებში გასაოცარ მამაცობასა და გამბედაობას იჩენდნენ. ერთ-ერთი მათგანი, ამ სურათზე გამოსახული ქართველი პარტიზანი დავით კაპანაძე გახლავთ. როგორც მახსოვს, ის ბათუმელია. დავითი ახოვანი, ლამაზი ვაჟკაცი იყო, მეტად მხიარული და მკვირცხლი მის გვერდით არაერთ ოპერაციაში მიმიღია მონაწილეობა. და აი ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ არონის მახლობლად დავითმა სახსოვრად გადმომცა ეს სურათი.

მას შემდეგ 26 წელი გავიდა. საშუალება მომეცა ჩამოვსულიყავი საქართველოში, ჩვენი გმირი თანამებრძოლი ქართველი პარტიზანების სამშობლოში. გულით მინდა შევხვდე დავითს. იქნებ თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ მისი სურათი და ჩემს აქ ყოფნაში შევხვდე იმ ქარცეცხლიან დღეებში დაძმობილებულ მეგობარს.

ჩვენც სიამოვნებით ვასრულებთ იტალიელი კომუნისტის თხოვნას.

**ლ. ხუბულური.**



სურათზე: დავით კაპანაძე იტალიაში (1945 წ.).

---

# „დაისი" ეკრანზე

კინო

ეძღვნება ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავს. ასე აწერია ფილმ „დაისის" ტიტრებზე. აი ჟღერს ყველა ქართველისათვის ესოდენ ნაცნობი ჰანგი. კლარნეტი — სოლო დილის საარის ხმაზე აჟღერებულ, ელეგიურ მელოდიას აკვნესებს. კადრში შედის მაროსა და მალხაზის ამაღლებულ სიყვარულზე მეტყველი სცენები. უყურებთ ამ პირველ კადრებს და გრძნობთ, რომ „დაისის" მუსიკის ლირიკულ-რომანტიკული ტონუსის ეკრანზე „გადატანის" „ტონალობა" მიგნებულია, ნაპოვნია „მეტყველების" ის ამაღლებული ტონი,ურომლისოდაც ძნელი იქნებოდა ზ. ფალიაშვილის საოპერო შედევრის მხატვრული შთანაფიქრის გახსნა, ნაწარმოების მოქმედ პირთა ხასიათებისა და მოქმედების გარემოს წარმოსახვა.

კადრი კადრს მისდევს... ფილმის ექსპოზიციას დრამატურგიული განვითარების საფეხური ცვლის, მოქმედ პირთა პირადული დრამის სფეროში გარესამყაროს დიდი მოვლენები იჭრება, კიაზო საბრძოლველად რაზმავს მტრის რისხვად აღმდგარ ხალხს. მოქმედება დრამატული სიმძაფრის მწვერვალს აღწევს და თქვენ არსად არ გტოვებთ ნაწარმოების მხატვრული არსიდან გამომდინარე „ქმედების" იმ ცხოველი რიტმის შეგრძნება, რომელსაც ფილმის პირველივე კადრებში ესმება ხაზი.

მიჰყვებით ფილმის მსვლელობას და რწმუნდებით რაოდენი შრომა გასწია ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნ. სანიშვილმა.

ზ. ფალიაშვილის საოპერო შედევრის ეკრანიზება ადვილი საქმე არ იყო. ფილმმა ნათელყო, რომ რეჟისორმა წარმატებით დაძლია რთული პრობლემა და შეძლო „დამოუკიდებელი კონცეფციის" კინონაწარმოების შექმნა. ფილმის „პირველწყაროსადმი" სწორედ ამ აქტიურ, შემოქმედებით მიდგომაშია ნ. სანიშვილის ახალი ნამუშევრის ძალაც და მისი სიცოცხლის საწინდარიც.

და მაინც ვიტყვით, რომ ყველაზე საპასუხისმგებლო ფილმის დრამატურგიული ფორმის მიგნება იყო. კინოს სპეციფიკიდან გამომდინარე ეს უკანასკნელი ხომ თავისთავად გულისხმობდა „ოპერის" დრამატურგიული ჩარჩოს რამდენადმე „განვრცობას" და ამ უკანასკნელში ახალი ეპიზოდების შეტანას. დამდგმელი რეჟისორის ნ. სანიშვილის და ფილმის სცენარის ავტორის — ჯ. ჩარკვიანის მახვილი მუსიკალური ინტუიციის წყალობით ასეთი „განვრცობა" სრულიად „უმტკივნეულოდ" განხორციელდა, ჩართული ეპიზოდები ბუნებრივად „შეეჭსოვა" გამკვეთი განვითარების პრინციპზე აგებულ დრამატურგიულ მთელს.

რეჟისორისა და სცენარისტის მუსიკალური ფრაზის არსში წვდომის უნარში ვლინდება კიდევ ერთი ფაქტი. ფილმში სალაპარაკო დიალოგის შეტანის პირობებში („დაისის" პარტიტურის შესატყვის ადგილებში რეჩიტატივს მიმართავს კომპოზიტორი) თითქმის არსად არ ირღვევა ოპერის პერსონაჟთა „მეტყველების" მანერა.

„დაისის" ეკრანიზება, როგორც უკვე ვთქვით, მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ლირიკულ-დრამატული პლანის ეს ოპერა ჟანრობრივი „მრავალმხრივობის" ელემენტებსაც შეიცავს. ვგულისხმობთ ჟანრული ელემენტის ხაზგასმას ნაწარმოებში, რაც თავის მხრივ გუნდის (მასობრივი სცენები) აქცენტირებას განაპირობებს. მაგრამ სირთულე მხოლოდ ამაში როდია. ოპერაში ნათლად იკვეთება ორი სიუჟეტური ხაზი: ფსიქოლოგიური დრამისა და გმირულ-პატრიოტული.

და სწორედ აქ არ შეიძლება არ ითქვას მსახიობთა დიდ წვლილზე ფილმის წარმატებაში, განსაკუთრებით რესპუბლიკის სახალხო არტისტის ო. კობერიძის მიერ შექმნილი კიაზოს სახის მნიშვნელობაზე. მსახიობი ჩინებულად ატარებს კიაზოს სახის განვითარების ყველა საფეხურთან დაკავშირებულ ეპიზოდებს, მაყურებელს იგი ღრმად ამახსოვრდება მონოლოგიური პლანის სცენაში — „სულო ბოროტო", რომელიც „შინაგანი მონოლოგის" პრინციპით არის გახსნილი. მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ო. კობერიძე წარუშლელ შთაბეჭდილებას სწორედ მონუმენტურ სახალხო სცენაში („მტერი ბარში გადმოსულა") ახდენს (კიაზო საბრძოლველად რაზმავს მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის აღმდგარ ხალხს).

სხვათა შორის, აქ უნდა მივუთითოთ რეჟისორის ერთ შესანიშნავ მიგნებაზე. ვგულისხმობთ მტრის შემოსევის მაცნედ მალხაზის წინ წამოწევას ზემოაღნიშნულ სახალხო სცენაში. ამან მეტი სიმახვილე შესძინა მალხაზის სახეს, ხაზი გაუსვა მის ვაჟკაცურ, გმირულ ბუნებას (ეს განაპირობა ფილმის დასაწყისში მალხაზის მეციხოვნეთა ლაშქრის მეომრად ჩვენებამ). მალხაზის სწორედ რაინდულ ბუნებას უსვამს ხაზს. ამ როლის შემსრულებელი ახალგაზრდა მსახიობი ქ. მარადიშვილი კარგი გარეგნობისა და აქტიორული ტაქტის დებიუტანტმა ცუდად არ გაართვა თავი მალხაზის ფსიქოლოგიურად რთული სახის გამოძერწვას.

უდავოდ წარმატებას მიაღწია მაროს სახის განსახიერებაში მსახიობმა ნ. ყიფიანმა. მართალია, იგი პირველად არ არის კინოკამერის წინ (ადრე მან მარიხი ითამაშა ფილმ „აბესალომ და ეთერში"), მაგრამ მაროს პარტია ხომ მისთვის პირველი დიდი და ესოდენ პასუხსაგები იყო.

მაყურებელს დაამახსოვრდა ნანოს როლის შემსრულებელი დ. თუშიშვილიც. ყველა საფუძველია ვიფიქროთ, რომ მისი ეს დებიუტი ახალგაზრდა მსახიობის შემდგომი შემოქმედებითი წინსვლის საწინდარი იქნება.

ფილმის წარმატებაში თავისი დიდი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ზ. ქაფიანიძემ (ცანგალა) და მსახიობმა გ. ბერეკაშვილმა (ტიტო). მაყურებელი დაატყვევა მათ მიერ გამოძერწილი სახეების საოცარმა ბუნებრივობამ. ეს უკანასკნელნი თითქოს ხალხის ყოფიდან არიან გადმოსულნი ეკრანზე.

ამ ვეებერთელა კოლექტივიდან კიდევ ბევრი შემსრულებლის გამოყოფა შეიძლებოდა. მასიდან გამოყოფილი ეს ეპიზოდური სახეები და თვით მასაც ასეთივე ინტენსიური ცხოვრებით ცოცხლობს ეკრანზე. ჟანრული სცენები ფილმის ჭეშმარიტი მშვენებაა. ქმედით ასპექტშია მოცემული ჟანრული სცენების საცეკვაო ეპიზოდების ბრწყინვალე ქორეოგრაფიული გადაწყვეტაც, რომელიც სსრკ სახალხო არტისტებს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს ნ. რამიშვილს და ი. სუხიშვილს ეკუთვნის. საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავენი ჩვეული ოსტატობით ასრულებენ როგორც დიდი შინაგანი გზნებით აღბეჭდილ, გმირული შემართების მასობრივ ცეკვებს, ისე ლირიკული განცდის ამაღლებული, ტონუსით აღბეჭდილ რომანტიკულ პოემას — ცეკვა ქართულს.

და, ბოლოს, ფილმის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ გამომსახველ კომპონენტზე — მის მუსიკალურ მხარეზე. ფილმ „დაისის" წარმატება მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ზ. ფალიაშვილის პარტიტურის მუსიკალურ ინტერპრეტაციაზე. მაშასადამე, საკუთრივ მოქმედებისა და მუსიკალური შესრულების სინქრონულობის მიღწევაზე. არანაკლებად ვოკალური პარტიების შემსრულებელთა და საკუთრივ როლების განმასახიერებელ კინომსახიობთა „ხმის ტემბრთა" „დამთხვევაზეც". ამ ფაქტორზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ვოკალური პარტიების შემსრულებლად ცნობილი ქართველი მომღერლების სსრ კავშირის სახალხო არტისტის ზ. ანჯაფარიძის (მალხაზი) და საქართველოს სახალხო არტისტის მ. ამირანაშვილის (მარო) მოწვევა უკვე თავიდანვე განაპირობებდა შესრულების იმ მაღალმხატვრულ დონეს, ურომლისოდაც ფილმის ხანგრძლივი სიცოცხლე შესაძლოა სათუო აღმოჩენილიყო. სასიხარულოა, რომ მალხაზისა და მაროს ვოკალურ პარტიათა ბრწყინვალე ინტერპრეტაციასთან ერთად ასეთ მაღალმხატვრულ დონეზე იქნა შესრულებული კიაზოს პარტიაც. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. ზეინკლიშვილმა ამ მხრივ უდავოდ დიდი წარმატება მოიპოვა. ოსტატურად არის ნამღერი ცანგალას (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. შუშანია) და ტიტოს (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. ტორონჯაძე) პარტიებიც. და, რაღა თქმა უნდა, ფილმის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა თბილისის საოპერო თეატრის გუნდმა, რომელსაც ყველაფერთან ერთად თავისი ჟღერადობის კომპაქტურობაზეც უნდა ეზრუნა. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დირიჟორმა ვ. ფალიაშვილმა დიდი და დაძაბული მუშაობა გაწია სოლისტებთან, გუნდთან და ორკესტრთან.

ფილმს ღვაწლი დასდეს მეორე რეჟისორმა ი. თარხნიშვილმა (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), ოპერატორმა დ. მარგიევმა (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), მხატვარმა დ. თაყაიშვილმა (საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი), მუსიკალურმა რედაქტორმა ა. კერესელიძემ (რესპუბლიკის სახალხო არტისტი).

ერთი სიტყვით, ბეჯითმა შემოქმედებითმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო.

**მზია იაშვილი,**
მუსიკისმცოდნე.

• • •

სურათებზე: კადრები კინოფილმ „დაისიდან".

---

კრეტენდენტთა ფინალი

# მერვე პარტიის წინ

ბუენოს-აირესი, 22 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ. ე. ელშოვი). ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩის მერვე პარტია, როგორც უკვე ვიუწყებოდით, 21-დან გადატანილია 24 ოქტომბრისათვის. თანახმად რეგლამენტისა, მატჩის თვითეულ მონაწილეს უფლება აქვს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ორჯერ გადადოს თამაში. სწორედ ამ უფლებით ისარგებლა პეტროსიანმა. მან გამოიძახა მატჩზე აკრედიტებული ექიმი, რომელმაც გასინჯვის შემდეგ ურჩია მას [illegible] შესვენება.

ეხებიან რა ამ ამბავს, სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს გადაწყვეტილება მიზანშეწონილია, რადგან ბევრმა ჯერ კიდევ მეექვსე პარტიის დროს შენიშნა პეტროსიანის უქეიფობა და დაღლილობა.

ამ დღეებში ერთგვარი ცვლილება მოხდა ამერიკის დელეგაციაში. ფიშერის ოფიციალურმა სეკუნდანტმა გროსმაისტერმა ევანსმა დატოვა მატჩი და ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა. მატჩის ორგანიზატორებმა კორესპონდენტთა კითხვაზე ვერ მისცეს ახსნა-განმარტება. არგენტინის გაზეთები წერენ, „გენიალურ ფიშერს სეკუნდანტები არ სჭირდებაო".

ამერიკის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა დელეგაციასთან ერთად ცხოვრობდა ჩინებულ სასტუმრო „პრეზიდენტში", გადავიდა მეორე სასტუმროში — „კლარიჯში". უწინდელი სასტუმრო დაიწუნა ფიშერმა. ამერიკელმა გროსმაისტერმა, რომელიც მესამე, მეოთხე და მეხუთე პარტიების დღეებში დუმდა, ამ ბოლო დროს კვლავ დაიწყო პრეტენზიების წაყენება: მას არ აწყობს სინათლე, საჭმელი, ხელს უშლის ხმაური და სხვადასხვა. ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა ედმონსონმა არგენტინელ ოსტატებს უამბო: „როცა ბიჭმა შეწყვიტა მოთხოვნების წაყენება, მე გამაოცა ასეთმა უეცარმა ცვლილებამ. რით უნდა ყოფილიყო ეს გამოწვეული? მაგრამ აი მან მიიხმო თქვენი ფედერაციის პრეზიდენტი და პროტესტი განაცხადა სინათლის წინააღმდეგ: თუ არ მოაწესრიგებენ, არ ვითამაშებო, ახლა ეს უწინდელი, ნამდვილი ფიშერია. ახლა იგი თავის ფორმაშია!".

აღსანიშნავია, რომ ფიშერმა კვლავ იწყო მატჩზე დაგვიანება...

სპეციალისტები კვლავ განმარტავენ უკანასკნელ ორ პარტიას და მატჩის პერსპექტივას. გროსმაისტერი მიგელ ნაიდორფი აღნიშნავს, რომ პეტროსიანმა ვერ გამოიყენა კარგი დასაწყისი, ხელსაყრელი ფსიქოლოგიური პირობები და თავისი სიფრთხილით ინიციატივა დაუთმო ფიშერს. ფიშერმა ამით ისარგებლა და გამხნევდა. ბობის ბედმა გაუღიმა. მაგრამ მატჩი ჯერ არ დამთავრებულა. პეტროსიანს არა აქვს სხვა ალტერნატივა, თუ არა იერიში.

„ბუენოს-აირეს ჰერალდმა" დაწერა: ფიშერს დარჩენია კიდევ ორი პარტია მოიგოს ზედიზედ და მატჩის ბედი გადაწყვეტილია. იგი შეხვდება სპასკის.

ამის პასუხად გაზეთმა „რეზონმა" აღნიშნა: არა, ჩვენ არა გვსურს ფორსირებული ფინიში. იმედი გვაქვს, რომ პეტროსიანი, რომელმაც კარგად წარმართა მატჩის დასაწყისი და გამოცდილი მოჭადრაკე მებრძოლის თვისებები აქვს, შეეცდება დაიბრუნოს ინიციატივა. მან უკვე გვიჩვენა, რომ შესწევს ამის უნარი.

დარჩა ხუთი პარტია, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პეტროსიანი ითამაშებს ამ პარტიებს!

---

# გამარჯვება ჩემპიონთან

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) 1:0 (0:0). თბილისი. 22 ოქტომბერი. „ლოკომოტივის" სტადიონი. მსაჯი — პ. ანძიულისი.

„დინამო" (თბილისი) — სტეფანია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, ყიფიანი, გუცაევი, რეხვიაშვილი.

„დინამო" (კიევი) — რუდაკოვი, დოცენკო, სოსნიხინი (ფურავსკი), მატვიენკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი, კოლოტოვი, ბიშოვეცი, ვერემეევი, ხმელნიცკი.

კიევის დინამოელები ჩემპიონის რანგით გვეწვივნენ, ამიტომაც თბილისელ თანაკლუბელებთან შეხვედრის შედეგს მათთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, იგი უფრო პრესტიჟის მატჩი გახლდათ. მასპინძლებს კი, ძალზე სჭირდებოდათ ორი ქულა.

მაყურებლები ჩემპიონს ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ. თბილისელმა ფეხბურთელებმა კიეველებს სამახსოვრო თასი გადასცეს. განსხვავებული სატურნირო მდგომარეობისა და ინტერესთა სხვადასხვაობის მიუხედავად თამაშს სანახაობითი მხარე არ დაუკარგავს. ორივე გუნდმა აჩვენა შეუპოვარი, და კორექტული ბრძოლა, სწრაფვა გამარჯვებისაკენ.

შუა ტაიმში მსაჯმა თამაში შეაჩერა. ფეხბურთელებმა და მაყურებლებმა ერთი წუთის დუმილით პატივი სცეს თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. იამანიძის ხსოვნას.

ამ თამაშში თბილისელთა ყველა ხაზი მოქმედებდა მთელი დატვირთვით, კარგი ურთიერთგაგებით. მათი იერიშები უფრო მიზანსწრაფული და სახიფათო იყო, დაგვამახსოვრდა რეხვიაშვილისა და გუცაევის ორი კარგი გასვლა. მართალია, მათ მეტოქის კარი არ აუღიათ, მაგრამ დარტყმები ძლიერი იყო. მეორე ნახევარი ძირითადად მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, განსაკუთრებით თავბრუდამხვევი იერიშები მიჰქონდათ თბილისელებს დასაწყისში, რამაც მათ სასურველი შედეგიც მოუტანა — 55-ე წუთზე ყიფიანმა ანგარიში გახსნა. ამ ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი, გაიმარჯვეს თბილისელებმა და მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვეს.

როგორც ვხედავთ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლა გამწვავდა, დავუცადოთ ბოლო მატჩებს.

ამ გუნდების დუბლიორთა შეხვედრის შედეგია ფრე —1:1.

სპორტი

# ლიდერთა ჯგუფი

**სოჭში** გრძელდება სსრ კავშირის XXXI ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთათვის. გადადებული პარტიების დამთავრების დღეს შულმა მოუგო კონოპლიოვასა და კისლოვას, მკრტიჩიანმა დაამარცხა სპივაკი და ბილუნოვა.

ლიდერთა ჯგუფში მდგომარეობა ასეთია: შულს 9 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, სემიონოვას — 9 ქულა, კოზლოვსკაიას — 8,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ლევიტინას — 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მკრტიჩიანს — 8 ქულა.

ვ. გოგლიძის მემორიალი

# სამი პრეტენდენტი

ვ. გოგლიძის მემორიალი დასასრულს უახლოვდება. მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს პირველი პრიზისათვის, რომლის ძირითადი პრეტენდენტები დღეისათვის არიან ე. გუფელდი, ვ. ბაგიროვი და თ. გიორგაძე.

გუშინდელ მეთერთმეტე ტურში ი. ბედნარსკიმ ორჯერ შესთავაზა ყაიმი თ. გიორგაძეს, მაგრამ უარი მიიღო. ამასობაში თბილისელი ოსტატი თვით შეცდა და პირველი დამარცხება განიცადა. ტ. უიტუმენმა მოუგო ნ. რადევს, ხოლო ნ. ალექსანდრია და ლ. ნავაროვსკი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

11 ტურის შემდეგ 6,5 ქულითა და თითო გადადებული პარტიით პირველ-მესამე ადგილებს იყოფენ გროსმაისტერი ე. გუფელდი, საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი და ოსტატი თ. გიორგაძე.

ვისთან უნდა ითამაშონ პირველი ადგილის პრეტენდენტებმა? გუფელდს სათამაშო დარჩა ალექსანდრიასა და ნავაროვსკისთან, გიორგაძეს — ბაგიროვსა და პშიბლთან. ბაგიროვს, გიორგაძის გარდა, სათამაშო დარჩა პორტიშთან, რომელიც დღეისათვის შეჯიბრების ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილეა.

---

სხვა გაზეთებიდან

# იქნებ მაგელანი იყო?

**დეპეშათა** სააგენტო მანილიდან იუწყება, რომ ფილიპინელმა ანთროპოლოგმა მარსელინო მადიდამ განაცხადა, რომ მან იპოვნა მაგელანის თავის ქალა.

ანთროპოლოგი გათხრებს აწარმოებდა პატარა კუნძულ მაკტანზე, რომელიც მანილის სამხრეთ-აღმოსავლეთით 580 კილომეტრზე მდებარეობს. აქ მეცნიერებმა აღმოაჩინეს თავის ქალა, რომლის გვერდითაც იდო დაჟანგებული ესპანური მახვილი. მახვილის აღნაგობის მიხედვით ადვილად დაადგინეს, რომ ასეთ იარაღს სწორედ მაგელანის დროს ატარებდნენ. დაკვირვებამ ცხადყო აგრეთვე, რომ თავის ქალა ევროპული რასის ადამიანს ეკუთვნოდა.

როგორც ცნობილია, მაგელანი და მისი ეკიპაჟის ნაწილი დაიხოცნენ ფილიპინელებთან შეტაკების დროს 1521 წელს. პორტუგალიელი მოგზაური პირველი ევროპელი იყო, რომელიც ამ არქიპელაგს ეწვია. მისი დაღუპვის ადგილი დაახლოებით ცნობილია. ზოგიერთი ფილიპინელი მეცნიერი თავს იკავებს და აცხადებს, რომ ნაპოვნი თავის ქალა შეიძლება ეკუთვნოდეს მაგელანის ექსპედიციის რომელიმე წევრს.

---

## თბილისის ეკრანებზე

# ესტონური ფილმების ფესტივალი

**26 ოქტომბრიდან**

კინოთეატრ „ამირანში"
**ნახეთ მხატვრული ფილმები:**
„ტუიზუ ტაავის შვიდი დღე"; „მოიპარეს ბებერი ტომასი"; „გლადიატორი"; „გაზაფხული.
კინოთეატრ „ქრონიკაში"
ესტონური ქრონიკალურ-დოკუმენტალური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ფესტივალი

კადრი ფილმიდან „მოიპარეს ბებერი ტომასი".

---

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## ტელევიზია

**23 ოქტომბერი**

პირველი პროგრამით

09.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.10 — სატელევიზიო ფილმი „ბედის უკუღმართობა", 11.45 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (გადმოცემა კალინინგრადიდან), 12.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ბიჭები კუნძულ ლივებიდან", 13.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 14.45— კინონარკვევი — „კამათი სიბრეზე", 15.00 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე — სტუდიაში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. შჩელოკოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.30 — კინონარკვევი „საბჭოთა სიმღერა", 16.50 — მოსწავლეთათვის „ქიმიის დილა", 17.40 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. ბეთჰოვენის მე-6 სიმფონია (გ. კარაიანის დირიჟორობით), 18.25 — „მომზადებული შევხვდეთ ზამთარს", 18.45 — ახალგაზრდობისათვის — — „სატელევიზიო ინტერკლუბი", 19.15 — კინოჟურნალი „საბჭოთა კინო" № 14, 19.25 — „მსოფლიო დღეს", 19.45 — „დიდი გზის დასაწყისი", 20:45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — „სტუმრად ბათუმის თეატრში", 22.10 —მხატვრული ფილმი „მფრინავი ჰოლანდიელი", 23.50 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (ვიდეოჩანაწერი).

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (განტოლებათა შესწავლა), 19.20 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (სიმრავლეთა თეორიის ელემენტები მე-4 კლასის მათემატიკის კურსში), 20.20 — განცხადებები, 20.25 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტეკონომიაში (სასაქონლო ფულადი ურთიერთობანი სოციალიზმის დროს), 21.30 — მხატვრული ფილმი „დასაწყისი".

**24 ოქტომბერი**

პირველი პროგრამით

09.25 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ფერადი ტელევიზია. „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „ოქროს გული", 12.55 — „კინოაფიშა" 15.50 — ქართული მხატვრული ფილმი „განაჩენი", 17.15 — „საერთაშორისო პანორამა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — საკვირაო გასართობი პროგრამა, 18.25 — სატელევიზიო ფილმი „ესტონეთი", 18.55 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.10 — „ჩვენი სამეგობრო ნობათი". „თანამედროვე უკრაინული ახალგაზრდული პოეზია", 19.50 — ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურობის კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.50 — ციკლიდან „ქართველი კომპოზიტორები" — სულხან ცინცაძე, 21.50 — მხატვრული ფილმი „კოლეგები", 23.30 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (ვიდეოჩანაწერი).

მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა (მეშვიდეკლასელთათვის), 19.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ფილოსოფიაში, 20.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზველობითს გეომეტრიაში, 21.10 — მხატვრული ფილმი „სხივები მინაში".

## თეატრები

**23 ოქტომბერი**

რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი— ფედრა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხსოვნა გულისა; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ქორწილი.

---

დაიწყო ხელმოწერა

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" 1972 წლის მეცნიერულ-პოპულარული ბროშურების 8 სერიაზე, რომლებიც მიძღვნილია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებისადმი.

„საქსოიუზპეჩატის" კატალოგში ეს სერიები გამოქვეყნებულია განყოფილებაში „საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" ბროშურები".

ბროშურებზე ხელმოწერა წლიურად წარმოებს.

თვითეულ სერიაში გამოვა 5 დასახელების ბროშურა, რომლის წლიური ხელმოწერის ფასია 50 კაპ.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-32-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის— 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 03151

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.